ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

MPG

Research

PENAL REFORM INTERNATIONAL

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის შესრულების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა

2020

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

MPG

Research

PENAL REFORM INTERNATIONAL

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის შესრულების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა

თბილისი, 2020 წელი

წინამდებარე კვლევა მომზადებულია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი ავტორთა შეხედულებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. შესავალი 5

1.1.კვლევის მეთოდოლოგია 5

1.2.კვლევის შეზღუდვა 6

1.3.კონტექსტის მიმოხილვა 7

1.3.1.პენიტენციური სისტემის გამოწვევები საქართველოში 9

2. პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის მიმოხილვა 12

3. სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის შესრულების შეფასება 15

4. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა 20

4.1.საერთაშორისო სტანდარტები 20

4.2.კონკრეტული ქვეყნების გამოცდილება 25

4.2.1.ლოჯისტიკური განვითარების გეგმა - ირლანდია 25

4.2.2.პატიმრობის პირობები - ნორვეგია, ავსტრია, ბელგია, ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია 26

4.2.3.პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლთან (ბუფერულ ზონასთან) დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები და დრონების გადაფრენის პრობლემა - ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი 29

4.2.4.არასრულწლოვანთა სამართლებრივი რეჟიმი და პატიმრობის პირობები - ნიდერლანდები 32

4.2.5.ქალი პატიმრების დედათა და ბავშვთა სახლების გამოცდილება - აშშ და ავსტრალია 35

5. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 37

გამოყენებული წყაროები 39

1. შესავალი

კვლევის მიზანია, პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის შესრულების მონიტორინგი და ამ სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი. ამისთვის, კვლევის ანგარიში დეტალურად მიმოიხილავს სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ აქტივობას, რომელიც პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურული მხარის განვითარებას ისახავს მიზნად და შეაფასებს მის შესრულებას წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ანგარიში არ შემოისაზღვრება მხოლოდ ინდიკატორების გაზომვით და მიზნად ისახავს თავად ინდიკატორების ხარისხის შეფასებასაც. იმ შემთხვევებში, როცა ინდიკატორი არადამაკმაყოფილებელია და არ იძლევა აქტივობის შედეგების სათანადოდ შეფასების საშუალებას, აქტივობის შესრულების განხილვა დამატებით კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდება. ანგარიში აქცენტს გააკეთებს იმ გამოწვევებზე, რაც აფერხებს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად შესრულებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის დაგეგმარების პროცესის გასაუმჯობესებლად საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

1.1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების შესაბამისად შემუშავებული მეთოდოლოგია ეყრდნობა სამაგიდე კვლევასა და ჩაღრმავებულ ინტერვიუებს. სამაგიდე კვლევის ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების - იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N385 ბრძანებით დამტკიცებული პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგია და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა - ანალიზი. სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის ანალიზის პროცესში, ამოცანების შესრულების მდგომარეობის შეფასებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის შინაარსისა და რელევანტურობის შეფასებას.

სამოქმედო გეგმის შინაარსის შეფასება ეფუძნება ე.წ. S.M.A.R.T პრინციპს, რომელიც გულისხმობს გეგმის აქტივობების შეფასებას, რამდენად პასუხობს იგი შემდეგ კრიტერიუმებს:

S	(Specific)	= სათანადოდ ჩამოყალიბებული;
M	(Measurable)	= გაზომვადი;
A	(Achievable)	= მიღწევადი;
R	(Realistic)	= რეალისტური;
T	(Time-bound)	= ვადებში გაწერილი.

სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურულ ნაწილში გათვალიწინებული ამოცანების რელევანტურობის შეფასებისას, ძირითად წყაროდ გამოყენებულია სახალხო დამცველის 2014-2018 წლების ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე, ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ მიერ ციხის საერთაშორისო რეფორმის დაკვეთით გამოცემული დოკუმენტი - „მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი პენიტენციურ სისტემაში - სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების კვლევა“.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში ასევე შევისწავლეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს პოლიტიკის დოკუმენტები მსჯავრდებულთა (პატიმართა) უფლებებისა და მათთან მოპყრობის საკითხებზე. კონკრეტულად კი, დოკუმენტების ის ნაწილები, რომელიც ინფრასტრუქტურულ სტანდარტებს განსაზღვრავს პენიტენციური დაწესებულებებისთვის . ეს დოკუმენტებია:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები, მიღებულია 1955 წელს);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები, მიღებულია 2010 წლის 21 დეკემბერს);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები, მიღებულია 1990 წლის 14 დეკემბერს);
- ევროპის საბჭოს ევროპული ციხის წესები (მიღებულია 2006 წელს);
- ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის ზოგადი სტანდარტები;
- ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ მანდელას წესების საფუძველზე შემუშავებული ტექნიკური და საოპერაციო მოსაზრებები, გამოცემული 2016 წელს);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) სახელმძღვანელო დოკუმენტი დინამიური უსაფრთხოებისა და ციხეში ინფორმაციის შეგროვების შესახებ (გამოცემულია 2015 წელს);
- მაღალი რისკის მსჯავრდებულთა მართვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) სახელმძღვანელო დოკუმენტი (გამოცემულია 2016 წელს);
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დამხმარე სახელმძღვანელო ციხეებში წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობებისა და საცხოვრებელი გარემოს შესახებ (გამოცემული 2012 წელს);
- ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტი ნელსონ მანდელას წესების შესახებ - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების აღსრულების შესახებ (გამოცემული 2018 წელს).

საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად, სამაგიდე კვლევის ფარგლებში განხილულია კონკრეტული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა. კონკრეტულად, საერთაშორისო გამოცდილების გასაცნობად შესწავლილ იქნა ნიდერლანდების, ირლანდიის, დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიის, ბელგიის, აშშ-სა და ავსტრალიის სახელმწიფო ორგანოების საჯაროდ ხელმისაწვდომი ოფიციალური დოკუმენტები, აგრეთვე პენიტენციურ სფეროში მოქმედი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამისი კვლევები და ანგარიშები.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის შესახებ ინფორმაციის მისაღებად და ინფრასტრუქტურის ნაწილში ინდიკატორების შესრულების შესაფასებლად. კვლევის მიზნების შესაბამისად ჩატარდა ინტერვიუები სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პენიტენციური და პრობაციის სისტემის მხარდაჭერის პროექტის წარმომადგენელთან.

1.2. კვლევის შეზღუდვა

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის აქტივობების ძირითადი ნაწილის შესრულების ვადად მითითებულია 2019 წლის დეკემბერი, კვლევისთვის მონაცემების შეგროვება კი, 2019 წლის დეკემბრიდან 2020 წლის თებერვლამდე მიმდინარეობდა. კვლევის ანგარიშის მომზადების დროს საჯაროდ ხელმისაწვდომი არ იყო გეგმის შესრულების ანგარიში თავად გეგმის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოს მხრიდან ან სხვა კონტროლის განმახორციელებელი სამთავრობო თუ არასამთვრობო უწყებისგან. შესაბამისად, გართულდა აქტივობების განხორციელების შესახებ მონაცემების მოპოვება საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. სამწუხაროდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არათუ კანონით დადგენილ ვადებში, არამედ კანონით განსაზღვრულზე სამჯერ ხანგრძლივი დროის მონაკვეთშიც, კი პასუხის გარეშე დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე მიმართვა. ასევე, მიუხედავად აქტიური კომუნიკაციისა, პრაქტიკულად თავი აარიდა ინტერვიუების ფორმატში ინფორმაციის გაზიარებას. ამ ფაქტორებმა განაპირობა კვლევის მნიშვნელოვანი შეზღუდვა სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის შესრულების შეფასების თვალსაზრისით.

1.3. კონტექსტის მიმოხილვა

საქართველოს პენიტენციურმა სისტემამ 2013-2018 წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები განიცადა. ამ რეფორმების შედეგად მიღწეული შედეგები და განვითარების ეტაპები, აგრეთვე, სისტემის მიმდინარე გამოწვევები ასახულია სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ"[1] და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებებში.[2]

პენიტენციური სისტემაში განხორციელებული რეფორმების ზოგადი პოლიტიკური ხედვა ჩამოყალიბებულია 2013-2018 წლების სამთავრობო პროგრამებში.[3] უფრო კონკრეტული ამოცანები და განსახორციელებელი ღონისძიებები ასახულია უკვე შესაბამისად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიაში[4] და მის საფუძველზე დამტკიცებულ 2014-2015, 2016-2017 და 2018-2010 წლების სამოქმედო გეგმებში.[5] ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულმა სტრატეგიამ მიზნად დასახა „საერთაშორისო სტანდარტების სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესებულებებში პირობების გაუმჯობესება, პატიმართათვის ეფექტიანი და დროული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის ხელშეწყობა".[6] მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- საჩივრებისა და გამოძიების სისტემის გაუმჯობესება მისი ადეკვატურობისა და ქმედობაუნარიანობის უზრუნველსაყოფად;
- პატიმართა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება და პატიმრობის პირობების გაუმჯობესება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესებულებებში მყოფ პირთა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ჩამოყალიბება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების დამკვიდრება;
- მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლების კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება.[7]

ამ პოლიტიკის ჩარჩოს მიხედვით ორწლიან სამოქმედო გეგმებში გაწერილია ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს მთელ რიგ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ-მმართველობით ქმედებებს, მათ შორის საკანონმდებლო პაკეტების შემუშავებას, კონკრეტულ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, სერვისების დანერგვასა და თანამშრომელთა გადამზადების პროცესის ორგანიზებას.[8]

სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანები აისახა კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებებში. პატიმრობის კოდექსში, რომელიც 2010 წლიდან საქართველოს პენიტენციური სისტემის მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტს წარმოადგენს, 2013, 2014, 2015 და 2016 წლებში პრინციპული ცვლილებები იქნა შეტანილი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და პენიტენციური სისტემის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის კუთხით.[9] მაგალითად, 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით

1 იხ. სახალხო დამცველის 2014-2018 წლების საპარლამენტო ანგარიშები: ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

2 დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/%E2%80%8Bsaqartvelo-adamianis-uflebebis-dacvis-sferoshi-mighweuli-warmatebit-msoflios-13-qveyanas-shoris-mokhvda/; https://1tv.ge/news/evrokavshiris-specialuri-warmomadgeneli-saqartvelo-shesadzloa-iyos-muza-skhva-qveynebistvis-penitenciur-sistemashi-reformebis-gatarebis-kutkhit/

3 ხელმისაწვდომია: http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=68;

4 ხელმისაწვდომია: http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Strategy2014-2020.pdf;

5 ხელმისაწვდომია: http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201/;

6 ხელმისაწვდომია: http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Strategy2014-2020.pdf;

7 იქვე, გვ 5;

8 იხ. 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა გვ 12-22; 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა გვ. 11-36; 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა თავი 4; ხელმისაწვდომია:http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201/;

9 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=31;

გადაისინჯა პატიმართა საჩივრების სისტემა;[10] 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, ევროპული ციხის წესების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მინიმალურ საცხოვრებელ ფართად განისაზღვრა მსჯავრდებულთათვის არანაკლებ 4 კვ.მ, ხოლო ბრალდებულთათვის პატიმრობის დაწესებულებაში არანაკლებ 3 კვ.მ და სამკურნალო დაწესებულებაში არანაკლებ 4 კვ. მ. ფართობი; საკანონმდებლო დონეზე შემოტანილ იქნა რისკების შეფასების სისტემა, მოწესრიგდა პაემნებთან, სამედიცინო სერვისებთან და მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.[11] 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით არსებითად შეიცვალა პენიტენციური დაწესებულებების მართვის სისტემა, მოწესრიგდა პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სტატუსისა და პროფესიული განათლების საკითხები, განხორციელდა უსაფრთხოების სამსახურების მოდერნიზაცია, გაძლიერდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულება,[12] გაუმჯობესდა ქალ მსჯავრდებულთა და ბავშვიან პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა,[13] 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით შეიქმნა მსჯავრდებულების მიერ დამზადებული ხელთნაკეთი ნივთების რეალიზაციის სისტემა[14], ხოლო 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით მსჯავრდებულებს მიეცათ უმაღლესი განათლების უფლება[15] და ა.შ.

რეფორმების პროცესში ნაკლებადმასშტაბური, თუმცა, არსებითი ხასიათის ცვლილებების უზრუნველყოფის სამართლებრივ ინსტრუმენტად გვევლინება ასევე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელზეც პატიმრობის კოდექსით მთელი რიგი უფლებამოსილებებია დელეგირებული როგორც მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მდგომარეობის ისე სერვისების მიწოდების თვალსაზრისით.[16] ამ კატეგორიის მინისტრის ბრძანებებად შეიძლება განხილულ იქნეს მაგალითად, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ,[17] პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სტანდარტებისა და საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების ბრძანება,[18] მსჯავრდებულთა რისკების შეფასების და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მომწესრიგებელი ბრძანება,[19]და ა.შ.

საერთო პროგრესის მიღწევაში[20] ყველა ამ დოკუმენტმა თავისი როლი შეასრულა. თუმცა შინაარსის ანალიზი მიუთითებს, რომ ამ დოკუმენტების ნაწილი - სამთავრობო პროგრამები და ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია უფრო ზოგადი ხასიათის საპროგრამო პოსტულატებს შეიცავს, ხოლო სამოქმედო გეგმები და საკანონმდებლო ცვლილებები კონკრეტული შედეგის მიღწევისკენ მიმართულ კომპლექსურ ან ცალკეულ ღონისძიებებს განსაზღვრავს. ამგვარი მიდგომა ნაწილობრივ განპირობებული იყო პენიტენციურ სისტემაში 2012 წლამდე არსებული პრობლემების გადაჭრისა და ცალკეული მიმართულებებით (მაგალითად, ციხეების გადატვითულობა, სამედიცინო სერვისების არასაკმარისი მიწოდება, პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა, მატერიალური პირობები, არაადამიანური მოპყრობა და ა.შ.) ვითარების გაუმჯობესების საჭიროებით.[21]

საქართველოს სახალხო დამცველმა 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითა, რომ „მნიშვნელოვანია [პენიტენციურ სისტემაში - ავტ.] არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, სამინისტრომ შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფის და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფცია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა“.[22] ამ სფეროში ამგვარი კონცეფციის შემუშავება პრაქტიკულად

10 იხ. 2013 წლის 24 სექტემბრის საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/ka/document/view/2032154?publication=0#DOCUMENT:1;

11 2014 წლის 16 აპრილის საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2332779?publication=0#DOCUMENT:1;

12 იხ. 2015 წლის 1 მაისის საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/ka/document/view/2835499?publication=0#DOCUMENT:1;

13 იხ. 2015 წლის 12 ივნისის საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2875079?publication=0#DOCUMENT:1;

14 იხ. 2016 წლის 27 აპრილის საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3275067?publication=0#DOCUMENT:1;

15 იხ 2017 წლის 1 ივნისის საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3696191?publication=0#DOCUMENT:1;

16 იხ. მაგალითად, პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის მე-4 და მე-4 ნაწილები, მე-15 მუხლის პირველი ნაწილი, მე-17 მუხლის მე-15 ნაწილი, 172 მუხლის მე-11 ნაწილი, 173 მუხლის მე-8 ნაწილი, 23-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ა.შ. ხელმისაწვდომია https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=31;

17 ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/document/view/4499245?publication=0;

18 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/4482407?publication=0;

19 ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/document/view/2820641?publication=0;

20 დეტალური ინფორმაცია სასჯელაღსრულების სფეროში განხირციელებული ცვლილებების შესახებ იხ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებგვერდზე: http://sps.gov.ge/ka/saqmianoba/reformebi.html;

21 2012 წლამდე პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა „2004-2012 წლებში ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური დანაშაულის შესახებ“. ხელმისაწვდომია:http://parliament.ge/uploads/other/49/49233.pdf;

22 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ 48. ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

მთელი სისტემის განვითარების ხედვის შემუშავების ტოლფასია, რადგან პენიტენციური ინფრასტრუქტურა ქმნის მატერიალურ საფუძველს სასჯელის აღსრულების კონკრეტული მიდგომების განსახორციელებლად მინიმუმ მომდევნო ათწლეულის განმავლობაში. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული ცვლილებები შეუძლებელია წარმატებული იყოს სისტემის საერთო განვითარების გრძელვადიანი ხედვის გარეშე. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 22 თებერვალს იუსტიციის მინისტრის მიერ N385 ბრძანებით პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცებას დიდი დატვირთვა აქვს პენიტენციური სისტემის სამომავლო განვითარების თვალსაზრისით. მოცემულ ეტაპზე ამგვარი სტრატეგიის არსებობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გათვალისწინებით, რადგან სამთავრობო პროგრამის ცვლილების პირობებში იგი შეიძლება განხილულ იქნეს სისტემის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფის ერთგვარ სამართლებრივ მექანიზმად. პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურული განვითარება დაგეგმვისა და იმპლემენტაციის გრძელვადიან პროცესებს უკავშირდება და საკმაოდ პრობლემურია ერთი საარჩევნო ციკლის ვადაში ამ ორივე ეტაპის დასრულება.[23] სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გაწერილი ინსტრუმენტების (მაგ. ლოჯისტიკური გეგმა და ახალი დაწესებულების სტანდარტი) მეშვეობით საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის სამთავრობო გუნდი, მიუხედავად პოლიტიკური კუთვნილებისა, ფორმალიზებული სახით მიიღებს დაგეგმვის დოკუმენტებს, რაც ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურული პროექტების სწრაფ იმპლემენტაციასა და შესაბამისად, პენიტენციური სისტემის ეფექტურ განვითარებას.

რაც შეეხება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესს, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული მთელი რიგი რეკომენდაციების გათვალისწინებისა, სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე სახალხო დამცველის წარმომადგენლები პროცესში ჩართული არ ყოფილან და იუსტიციის სამინისტროს არც წინასწარი კონსულტაციები უწარმოებია ომბუდსმენის აპარატთან[24] ან სხვა პროფილურ უფლებადამცველ ორგანიზაციებთან. თუმცა, საწყის ეტაპზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გარკვეული კონსულტაციები გაუწია ევროკავშირის პროექტის „პრობაციისა და პენიტენციური სისტემების მხარდაჭერა“ გუნდმა,[25] ხოლო დასკვნით ეტაპზე იუსტიციის სამინისტრომ სტრატეგიის შემუშავებისას გამოიყენა ამ სფეროში მოქმედი არასამთავრო ორგანიზაციების გარკვეული კვლევები (მაგალითად, ორგანიზაცია ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის მიერ ციხის საერთაშორისო რეფორმის ორგანიზებითა და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით განხორციელებული „მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი პენიტენციურ სისტემაში - სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების კვლევა“).[26]

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მხოლოდ იმ ნაწილის ანალიზს და შესრულების შეფასებას, რომელიც პენიტენციური ინფრასტრუქტურის განვითარებას შეეხება. თუმცა ეს საკითხი განხილულია პენიტენციური სისტემის საერთო განვითარების კონტექსტში, საერთაშორისო სტანდარტებისა და ამ სფეროში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით.

1.3.1. პენიტენციური სისტემის გამოწვევები საქართველოში

დღეისთვის პენიტენციური სისტემა 15 პენიტენციურ დაწესებულებას აერთიანებს,[27] რომელთა უდიდესი ნაწილი საბჭოთა კავშირის დროს არის დაგეგმილი და აშენებული. მცირე გამონაკლისია პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №8 დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი 2000-იანი წლების ბოლოს აშენდა არსებული ძველი ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციის შედეგად, ასევე პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის №7 დაწესებულება, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №12 დაწესებულება და დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის №16 დაწესებულება, რომლებიც ძველი ინფრასტრუქტურის არსებითი რეკონსტრუქციის შედეგად განახლდა.

23 პენიტენციური სისტემის პირობებში ამ პრობლემის ყველაზე ნათელი მაგალითია მაღალი რისკის დაწესებულების მშენებლობა ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურში, რომელიც 2010 წელს დაიწყო და დღემდე დაუსრულებელია. დეტალური ინფორმაცია იხ. http://www.gurianews.com/article/mtavari/mtavari-tema/ratom-shecherda-da-rodis-ganakhldeba-tsikhis-mshenebloba-laiturshi;

24 ინტერვიუ სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან;

25 იხ. ინტერვიუ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პენიტენციური და პრობაციის სისტემის ხელშეწყობის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილესთან, აგრეთვე საჯაროდ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://metronome.ge/story/137178;

26 იუსტიციის სამინისტროს წერილი პი ემ სი კვლევითი ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პასუხად;

27 იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“, მუხლი პირველი. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2962334?publication=0;

თუმცა ყველა ეს შენობა, მიუხედავად აშენების/რეკონსტრუქციის პერიოდისა, ძირითადად ე.წ. კორპუსული ტიპის პენიტენციურ დაწესებულების მოდელს წარმოადგენს.

საქართველოს პენიტენციური სისტემის შემადგენლობაშია როგორც მცირე ზომის დაწესებულებები (ძირითადად განსაკუთრებული რისკის დაწესებულებები (მაგალითად პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის №7 დაწესებულება 29 ადგილით და პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის №3 დაწესებულება 92 ადგილით), ისე ე.წ. მეგა დაწესებულებები (პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №8 დაწესებულება 3170 ადგილით და ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №17 დაწესებულება 2000 ადგილით)[28].

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის განკარგულებაშია ერთი ქალთა სპეციალური დაწესებულება, ერთი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება, სამი პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, სამი პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, ოთხი ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; ერთი დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; ერთი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება, ერთი ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი.[29] პატიმართა ყველაზე დიდი რაოდენობა (5000-მდე პირი, რაც საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტია) სწორედ ოთხ ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაშია განთავსებული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს პენიტენციური სისტემის წინაშე მასშტაბური სახით არ დგას ციხის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული გამოწვევა - დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემა. მიუხედავად იმისა, სახალხო დამცველის შეფასებით, ცალკეულ დაწესებულებებში ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც მსჯავრდებულებზე საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართობი მოდის. მაგალითად, 2017 წლის მსგავსად პრობლემად რჩება №15 დაწესებულების გადატვირთულობის საკითხი, აღსანიშნავია, რომ ეს შემთხვევები უკავშირდება არა ზოგადად სისტემის გადატვირთულობას - შესაბამის დაწესებულებებში ადგილების არარსებობას, არამედ სხვადასხვა დაწესებულებას შორის მსჯავრდებულთა არასწორი გადანაწილების პრობლემას.[30] რაც თავისთავად მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებაზე მიუთითებს.

რაც შეეხება პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით კონკრეტულ პრობლემებს, სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში 2014 წლიდან 2018 წლამდე განხილულია პენიტენციური დაწესებულების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რიგი გამოწვევები. მათ შორის, ცალკეულ დაწესებულებებში ვენტილაციის პრობლემები[31], სანიტარულ-ჰიგიენური პირობები,[32] განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში სასეირნო და სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურის მოწყობის აუცილებლობა.[33] 2014-2016 წლების საპარლამენტო ანგარიშებში ასევე მწვავედ არის დასმული მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფის პრობლემა.[34]

28 იქვე;

29 იქვე.

30 სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 47, ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

31 იხ. სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 83, 88; სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ. 56; სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 22, 95; სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ.53; : http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

32 იხ.სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 18, 89; იხ.სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 97; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

33 სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.46-47, 81, .სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ. 62; იხ.სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.6-7, 109; საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.26, 45--49; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.47-48; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

34 იხ.სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.19, 133, იხ.სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ. 62; სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ. 103; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

დინამიკაში სახალხო დამცველის ანგარიშების განხილვა აჩვენებს, რომ მათში ასახული ცალკეული ინფრასტრუქტურული პრობლემების ეტაპობრივი გადაჭრის მიზნით ყოველწლიურად გარკვეული ზომების მიღება ხდება, თუმცა, გამოწვევად რჩება საკვანძო ინფრასტრუქტურული საკითხები პენიტენციურ დაწესებულებებში. ამ მიმართულებით მიღწევებს შორის შეგვიძლია, განვიხილოთ, მაგალითად, 2014-2016 წლების ანგარიშებში წამოჭრილი პრობლემების ნაწილობრივი მოგვარება ხანგრძლივი პაემნებისთვის არსებულ ინფრასტრუქტურასა და და ვენტილაციისა და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებთან დაკავშირებით. თუ 2014 წლის ანგარიშში ხანგრძლივი ზრდასრული მსჯავრდებულებისთვის პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა დაწესებულებაში ერთ-ერთი აქტუალური გამოწვევა იყო[35], 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის გამართვა საამისო უფლების მქონე რიგი მსჯავრდებულისთვის. გამონაკლისია, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო №18 დაწესებულება[36]. აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი პაემნების ხელმისაწვდომობა პრობლემად რჩება ბრალდებულებისთვის,[37] რომლის გადაწყვეტაც უკვე არა ინფრასტრუქტურულ განვითარებასთან, არამედ სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილებასთან არის დაკავშირებული.[38] რაც შეეხება ვენტილაციისა და სანიტარულ-ჰიგიენურ პრობლემებს, მიუხედავად იმისა, რომ რიგ დაწესებულებებში გაუმჯობესდა ამ კუთხით არსებული მდგომარეობა, სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშები კვლავ მოიცავს იმ დაწესებულებების ჩამონათვალს, სადაც ეს პრობლემები არ მოგვარებულა.

ცალკე უნდა იქნეს განხილული ინფრასტრუქტურული პრობლემები ქალ პატიმრებსა და თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვან პირებთან დაკავშირებით. ქალი პატიმრების მატერიალური პირობების შესახებ 2014 წლების ანგარიშში ასახული მდგომარეობა კრიტიკულია. კერძოდ, აქაც საუბარია ხანგრძლივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობასა და ვენტილაციისა და სანიტარულ-ჰიგიენურ პრობლემებზე.[39] თუმცა უკვე 2015 წლიდან არის მითითება გარკვეულ პროგრესზე (მათ შორის, ხანგრძლივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე).[40] დღეისათვის პრობლემად რჩება ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განთავსება მამაკაც პატიმართა №2 დაწესებულებაში.[41] რაც შეეხება თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების მდგომარეობას, მათთან დაკავშირებით 2014-2018 წლის პრაქტიკულად ყველა ანგარიშში აღნიშნულია არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პატიმრების ერთმანეთისგან იზოლაციის პრობლემა №2 და №8 დაწესებულებებში.[42]

პენიტენციური ინფრასტრუქტურის სტანდარტების გაუმჯობესების თვალსაზრისით ბოლო პერიოდში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ხასიათის ცვლილებას წარმოადგენს პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის №7 დაწესებულებისა და ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №12 დაწესებულების დახურვა და მათი ახალ ადგილზე თანამედროვე სტანდარტების შენობებში გადატანა.[43] თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო ამ დაწესებულებების ფუნქციონირების საკითხი სახალხო დამცველის 2014-2017 წლების ყველა საპარლამენტო ანგარიშში მწვავე კრიტიკის საგანია. აგრეთვე, წინ გადადგმული ნაბიჯად არის შეფასებული ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის №14 დაწესებულებაში ბარაკული ტიპის საცხოვრებლის გაუქმება.[44] თუმცა მსგავსი პრობლემა კვლავ რჩება №17 დაწესებულებაში.[45]

35 სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.19, 133, ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

36 იხ. სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.49, ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

37 იქვე, გვ.48;

38 ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და პატიმრობის კოდექსით და მისი უფლებრივი მდგომარეობა (მათ შორის ხანგრძლივი პაემნის უფლება) გარკვეულად შეზღუდულია გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით;

39 იხ.სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.19, 82-84; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

40 იხ.სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.22; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

41 იხ.სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.51; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi

42 იხ. სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.58, სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ. 120; სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.207-208; სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.51. ხელმისაწვდომია : http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

43 დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.39, : http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

44 იქვე;

45 იქვე, გვ. 48;

ყველა ამ ცვლილებას დიდი პრაქტიკული გავლენა აქვს პატიმრობის პირობების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე ისინი შეიძლება შეფასდეს უფრო მეტად პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მიმდინარე გამოწვევების გადაწყვეტისკენ მიმართულ ღონისძიებებად, ვიდრე სისტემურ განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებად, რადგან ისინი ძირითადად მიმართულია ადამიანის ღირსების შესაბამისი მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისკენ და არა სასჯელის მოხდის რაიმე ახალი მიდგომების დანერგვისა და სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე კომპლექსური შედეგების მოტანის უზრუნველყოფისკენ.

მატერიალურ პირობებთან დაკავშირებით მიმდინარე კონკრეტული პრობლემების წამოჭრის პარალელურად, სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშებში თანდათან უფრო აქტუალური ხდება სისტემური შეფასებები დიდი დაწესებულებების არქიტექტურობის პრობლემურობასა და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში რეაბილიტაციისთვის საჭირო სივრცეების არარსებობის შესახებ. თუ მონიტორინგის პროცესი და მის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები 2014-2016 წლებში უფრო პატიმრობის კონკრეტული მატერიალური პირობების გაუმჯობესებასა და მიმდინარე ხარვეზების აღმოფხვრაზე იყო ორიენტირებული, 2017-2018 წლის ანგარიშებში კონკრეტულ პრობლემებთან ერთად ინფრასტრუქტურის კონტექსტში უკვე სისტემური განვითარებისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით არსებითი გაუმჯობესების საჭიროება არის წინ წამოწეული.[46]

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ბოლო წლებში ციხეებში რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროგრამების განხორციელების საჭიროების აღიარება თანდათან იზრდება მსოფლიოს მასშტაბით.[47] სახალხო დამცველის მიერ არსებული ვითარების შეფასება და მის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები ამ საერთო ტენდენციის ერთგვარ გამოხატულებად შეიძლება იქნეს განხილული.

სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესისა და სარეაბილიტაციო სერვისების მნიშვნელოვან ხელშემშლელ გარემოებად სახელდება ამ სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებშიც, რომლებშიც ასევე საუბარია ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი ხედვის ან გეგმის შემუშავების აუცილებლობაზე.[48]

2. პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის მიმოხილვა

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგია (შემდგომში - სტრატეგია), საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტანდარტების მიხედვით, თავისი არსით სექტორულ სტრატეგიას წარმოადგენს.[49] თუმცა სრულად არ აკმაყოფილებს მის მიერ დადგენილ სტრუქტურის მოთხოვნებს (მაგალითად, არ შეიცავს არსებული მდგომარეობის შეფასებას).[50]

სტრატეგია შედგება 4 ძირითადი ნაწილისგან: მისია, ხედვა, პრინციპები და სტრატეგიული მიზნები. სტრატეგიული მიზნები თავის მხრივ 7 მიზანს აერთიანებს, რომლებიც კონკრეტულ შედეგებში გამოისახება.[51] პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები რამდენიმე სტრატეგიულ მიზანშია გადანაწილებული.

სტრატეგიის ხედვა გულისხმობს უმაღლეს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი პენიტენციური და პრობაციის სისტემების ფუნქციონირებას, რომელთა მიზანია თავისუფლებააღკვეთილ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა და განმეორებითი დანაშაულის შემცირება.

---

46 იხ. დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.45-49; სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ გვ.39-40; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

47 დეტალური ინფორმაცია იხ. ორგანიზაცია ციხის საერთაშორისო რეფორმის ყოველწლიურ ანგარიშებში: Global Prison Trends 2018, გვ. 33; ხელმისაწვდომია: https://www.penalreform.org/resource/global-prison-trends-2018/; აგრეთვე Global Prison Trends 2019, გვ. 28; ხელმისაწვდომია https://www.penalreform.org/resource/global-prison-trends-2019/

48 არასამთავრობო ორგანიზაცია ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის ციხის საერთაშორისო რეფორმის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევა „მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი პენიტენციურ სისტემაში - სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების კვლევა“ გვ. 12., გაზიარებული იუსტიციის სამინისტროს მიერ.

49 იხ. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N629 დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო დოკუმენტი, გვ. 9; ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/439_59408_877483_629.pdf

50 იქვე, გვ 12-14;

51 სტრატეგიის დოკუმენტის ტექსტი ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/4490017?publication=0

მისიის განცხადებაში ძირითადი აქცენტი კეთდება თანამშრომელთა პროფესიული სტანდარტების ამაღლებასა და კვალიფიკაციის მუდმივ შენარჩუნებაზე, უსაფრთხო სამუშაო გარემოზე, საუკეთესო მართვის პრაქტიკის დანერგვაზე და უწყებათაშორის თანამშრომლობაზე. თუმცა მისიის განცხადებაში არაფერია ნათქვამი ამისთვის საჭირო შესაბამისი მატერიალური რესურსების ან ინფრასტრუქტურის შექმნაზე.

რაც შეეხება სტრატეგიის პრინციპებს, იგი მთლიანად ასახავს მისიის განცხადებაში არსებულ პარადიგმას და შინაარსიდან გამომდინარე პირობითად შესაძლოა 3 ნაწილად დაიყოს. პრინციპების ერთი ნაწილი ეთმობა მსჯავრდებულებს. კერძოდ, გარანტირებულია მსჯავრდებულთა უფლებების პატივისცემა და მათდამი თანასწორი დამოკიდებულება, სასჯელის მოხდა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური დაგეგმვის, რისკების შეფასებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების პირობებში. მეორე ნაწილში შეეხება პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების თანამშრომელთა პროფესიულ მომზადებასა და ამ სისტემების ადამიანური რესურსების განვითარებას. ხოლო პრინციპების მესამე ნაწილი განამტკიცებს უწყებათაშორისი თანამშრომლობის მიდგომას, აგრეთვე ხაზს უსვამს საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და გამჭვირვალობის მნიშვნელობას.

7 სტრატეგიული მიზნიდან ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები 3 მიზანშია ჩამოყალიბებული. სტრატეგიული მიზანი **A** მთლიანად ინფრასტრუქტურულ განვითარებას შეეხება. კონკრეტულად ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევა შემდეგი 3 შედეგით იზომება:

შედეგი A1. მოქმედ პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ახალი, მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებების დიზაინი და მშენებლობა;

შედეგი A2. პენიტენციურ დაწესებულებში უსაფრთხოების, გარე პერიმეტრის დაცვისა და ესკორტის ღონისძიებების გაუმჯობესება დაწესებულებიდან გაქცევის, მიმალვის ან დაწესებულებაში უკანონო ნივთების შეტანის შესაძლებლობის შემცირების მიზნით;

შედეგი A3. პირობების გაუმჯობესება არასრულწლოვნების, ახალგაზრდა ზრდასრული პირებისა და ქალებისათვის.

მომდევნო სტრატეგიული მიზანი **B** პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის განხორციელებასა და ამ გზით განმეორებითი დანაშაულის შემცირებას შეეხება. თუმცა ამ სტრატეგიული მიზნის არც ერთი შესაძლო შედეგი არ უკავშირდება ინფრასტრუქტურის განვითარების/მოწყობის საკითხს. ყველა შესაძლო შედეგი შეეხება პროგრამებისა და იმპლემენტაციის სხვა ინსტრუმენტების შექმნასა და თანამშრომლების რესურსის განვითარებას.

სტრატეგიული მიზანი **C** გულისხმობს პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბრალდებულების, მსჯავრდებულების, თანამშრომლებისა და სტუმრებისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნას. ამ ნაწილში ერთ-ერთი შედეგი არის პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბენეფიციარების, თანამშრომლებისა და სტუმრებისათვის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება; რაც პენიტენციური დაწესებულების გარემოს გაუმჯობესების ნაწილში მაღალი ალბათობით ინფრასტრუქტურული ხასიათის კომპონენტებს მოიცავს.

სტრატეგიული მიზანი **D,** რომელიც ბრალდებულების, მსჯავრდებულების, სტუმრებისა (მოწყვლად ჯგუფებზე განსაკუთრებული აქცენტით) და თანამშრომლების უფლებების დაცვას შეეხება, შედეგების მიხედვით უმეტესწილად ინფრასტრუქტურულ პროექტების შემუშავებასა და განხორციელებასთან არის დაკავშირებული. კონკრეტულად სტრატეგიული მიზანი **D-**ს შედეგებია:

შედეგი D1. ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების, ასევე ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი პატიმრობის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა;

შედეგი D2. მსჯავრდებულებისთვის დასაქმების, პროფესიული სწავლების, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ამ მიზნით შესაბამისი სისტემებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით;

შედეგი D3. ოჯახებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ოჯახთან კონტაქტის წახალისება;

შედეგი D4. თანამშრომლებისთვის ღირსეული, რესპექტაბელური და არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების შექმნა პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში.

მომდევნო 3 სტრატეგიული მიზანი პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების სხვადასხვა ფუნდამენტურ მიმართულებას მოიცავს, რომლებიც არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ უკავშირდება პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხებს.

მაგალითად, სტრატეგიული მიზანი **E** ფარავს პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში „ჯანმრთელი" გარემოს შექმნის მიმართულებას და ძირითადად ჯანმრთელობის დაცვისა და ფსიქოსარეაბილიტაციო სერვისების დანერგვას ითვალისწინებს.

სტრატეგიული მიზანი **F** უწყებათაშორისი თანამშრომლობის პრინციპების გამოძახილია და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასა და მართლმსაჯულებისა და საზოგადოების მოლოდინების გამართლების უზრუნველსაყოფად ყველა სათანადო კანონთან, რეგულაციასა და საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობას გულისხმობს.

და ბოლოს სტრატეგიული მიზანი **G** მთლიანად სპეციალური პენიტენციური სამსახურის/პრობაციის ეროვნული სააგენტოს მენეჯმენტისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარებას, აგრეთვე გატარებული რეფორმების ცნობადობის საკითხებს ეთმობა. ეს უკანასკნელი სტრატეგიული მიზანი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ნაწილობრივ ტექნოლოგიური განვითარების თემებსაც შეეხება. ციხეებში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ყოველწლიურად უფრო მრავალმხრივი და აქტუალური ხდება სხვადასხვა მიმართულებით (მათ შორის რეაბილიტაციის ნაწილში)[52] და ციხეების დიგიტალიზაცია ბოლო პერიოდში სხვადასხვა კვლევისა[53] და სპეციალისტის განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა სასჯელაღსრულების სამომავლო განვითარების თვალსაზრისით. სტრატეგიის ფარგლებში ტექნოლოგიური განვითარება განხილულია მხოლოდ ორგანიზაციული განვითარების მიმართულებაში (ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზების სისტემების გაუმჯობესება ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების მიზნებისათვის) და არა მაგალითად, პატიმრობის პირობების გაუმჯობესების (გარე სამყაროსთან კონტაქტი, ელექტრონული ბიბლიოთეკა და ა.შ.) ან უსაფრთხოების სისტემების განვითარების კონტექსტში. ტექნოლოგიების დანერგვას მთელ რიგ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების, ინფრასტრუქტურის განვითარების ან პირიქით ამ მიმართულებით ხარჯების დაზოგვისა და ინფრასტრუქტურული პროექტების საჭიროების მოხსნის კუთხით, ისევე როგორც ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების ან/და ამ რესურსის გაფრთხილების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში ამ საკითხს, ინფრასტრუქტურასთან კავშირში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

როგორც სტრატეგიის სტრუქტურის ანალიზი მიუთითებს, ერთი მხრივ, პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები მასში არცთუ ფართოდ არის ასახული. ძირითადი შესავალი ნაწილი, რომელიც სტრატეგიის ფუძემდებლურ მიმართულებებს აყალიბებს, საერთოდ არ ეხება არც ინფრასტრუქტურის და არც ტექნოლოგიური განვითარების თემას. თუმცა სტრატეგიული მიზნების ნაწილში ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხი საკმაოდ ფართოდ არის დაფარული - შვიდი სტრატეგიული მიზნიდან ორი **A** და **D** შინაარსობრივად პირდაპირ ან არაპირდაპირ ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავშირდება შედეგების თვალსაზრისით. აგრეთვე, სტრატეგიული მიზნის **C**-ს ერთ-ერთი შედეგი **C1**, არაპირდაპირ ინფრასტრუქტურულ კომპონენტს გულისხმობს. სტრატეგიის შინაარსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ახალი, მცირე ზომის დაწესებულებების დიზაინისა და მშენებლობის საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის დამოკიდებულების სამართლებრივად დაფიქსირება, რასაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მთლიანად პენიტენციური სისტემის განვითარებისთვის და ფაქტიურად განსაზღვრავს მის მომავალს. აღსანიშნავია, მცირე ზომის დაწესებულებები, ამ ნაწილში საერთაშორისო სტანდარტების სარეკომენდაციო ხასიათიდან გამომდინარე, აპრიორი არ წარმოადგენს ტრენდს ამ სფეროში და მსოფლიოს განვითარებულ პენიტენციურ სისტემებში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს ე.წ. მეგა ციხეების (პატიმართა დიდ რაოდენობაზე გათვლილი დაწესებულებების, რომელიც ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ტიპის ციხესაც აერთიანებდეს) მშენებლობის სასარგებლოდ გადაწყვეტილებების მიღებას, რისი ერთ-ერთი ბოლო მაგალითებიც არის 2016 წელს ესტონეთის იუსტიციის სამინისტროს ციხეების დეპარტამენტის მიერ 1290 ადგილიანი ციხის გახსნა ტალინში, 2017 წელს ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის სასჯელაღრულების სამინისტროს მიერ ქალაქ

52 დეტალური ინფორმაცია იხ. ორგანიზაცია ციხის საერთაშორისო რეფორმის ყოველწლიურ (ანგარიშებში: Global Prison Trends 2018, გვ. 33; ხელმისაწვდომია: https://www.penalreform.org/resource/global-prison-trends-2018/; აგრეთვე Global Prison Trends 2019, გვ. 37-38; ხელმისაწვდომია https://www.penalreform.org/resource/global-prison-trends-2019/

53 იხ. ციხის სამსახურებს შორის ტექნოლოგიური უთანასწორობის შესახებ კვლევა, ასევე ციხეებში ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებით დანერგვის საჭიროებაზე სხვადასხვა კვლევები ხელმისაწვდომია ევროპის ციხის სამსახურების გაერთიანების (Europris) ვებგვერდზე: https://www.europris.org/topics/technology/;

გრაფტონთან 1700 ადგილიანი ციხის აშენების გადაწყვეტილება[54] და 2019 წელს ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ იორკშირში ფულ სატონის 1440 ადგილიანი ციხის მშენებლობის გადაწყვეტილება.[55] ამ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია სტრატეგიაში ოფიციალური განცხადება რეაბილიტაციის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნის ვალდებულების აღების შესახებ. რაც შეეხება ტექნოლოგიური განვითარების ყურადღების მიღმა დატოვებას, ეს სტრატეგიის ერთ-ერთ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს. ტექნოლოგიების ნაწილთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დღეისთვის საქართველოს პენიტენციური სისტემა იყენებს გარკვეულ ტექნოლოგიებს, როგორც მსჯავრდებულთა მონაცემების დამუშშავებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის (ვიდეოკამერები, ელექტრონული საკეტები), ისე გარკვეული სერვისების მიწოდების კუთხით (ვიდეოპაემანი, ელექტრონული გადახდები). თუმცა ახალი დაწესებულების სტანდარტის შემუშავების პროცესში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციები და წარმატებული მაგალითები. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც პენიტენციური სისტემის იუსტიციის სამინისტროსთან გაერთიანების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ტექნოლოგიური განვითარების რესურსი იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სმარტლოჯიქის“ შესაძლებლობების გამოყენების ხარჯზე, რომელთან შედარებითაც სასჯელაღსრულების სამინისტროს ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესაძლებლობები ბევრად უფრო მცირე იყო. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საოპერაციო და ორგანიზაციული მხარდაჭერის მიღმა ტექნოლოგიური განვითარების მაგალითად შეიძლება განხილულ იქნეს პენიტენციური სისტემის შიდა დახურული ქსელის (ე.წ. ინტრანეტის) შექმნა, რომელზე მიბმული ერთ-ერთი პირველი პროექტი შეიძლება გახდეს პენიტენციური სისტემის ერთიანი ელექტრონული ბიბლიოთეკის ჩამოყალიბება ან მისი დაკავშირება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გაციფრულებულ ნაწილთან. ერთიანი ელექტრონული ბიბლიოთეკა მნიშვნელოვნად გაზრდის თითოეული დაწესებულებების ბიბლიოთეკების მარაგს როგორც მატერიალური, ისე აუდიო წიგნების კუთხით, გაადვილებს სამომავლოდ ახალი ელექტრონული წიგნებისა დასხვადასხვა მულტიმედია პროდუქტების შეძენას, ასევე გაზრდის საგანმანათლებლო და სხვა სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებითვის საჭირო მასალების ტექნიკურ ხელმისაწვდომობას, რასაც თავისთავად გულისხმობს დაწესებულებების მაღაზიებში სათანადო მოწყობილობების გაყიდვის დაშვებასაც პირველ ეტაპზე. გარდა ამისა, ეს შეიძლება იქცეს დამატებით შესაძლებლობად დაბალი რისკის მსჯავრდებულთა დასაქმების თვალსაზრისით დიგიტალიზაციის პროცესში, ხოლო სამარტოო საკანში მყოფი განსაკუთრებული რისკის მსჯავრდებულებისთვის გაზრდის თვითგანვითარებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვის ტექნიკურ შესაძლებლობას.

3. სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის შესრულების შეფასება

სტრატეგიაში ჩამოყალიბებული ხედვა და გამომდინარე მიზნები სამოქმედო გეგმაში ჰპოვებს ასახვას, რამაც მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია უნდა უზრუნველყოს. სამოქმედო გეგმის სტრუქტურა გარკვეულად იმეორებს სტრატეგიის სტრუქტურას იმ განსხვავებით რომ სტრატეგიული მიზნები და შედეგები აქ კონკრეტულ აქტივობებად და შესაბამისად, მათი გაზომვის ინდიკატორებად ტრანსფორმირდება.[56] სტრატეგიული მიზნების ანალიზიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში თემატურად, საყურადღებოა სამოქმედო გეგმაში გაწერილი **A1, A2, A3, C1** (მხოლოდ **C1.2** აქტივობა)**, D1, D2, D3, D4,** შედეგების აქტივობები; აგრეთვე, საინტერესოა შედეგ **G1** აქტივობები, თუ რა დონეზე ფარავს იგი ტექნოლოგიების განვითარების თემას ორგანიზაციული საჭიროებისთვის.

მიზანი A. ახალი, მცირე ზომის დაწესებულებების დიზაინი და მშენებლობა, ხოლო არსებული დაწესებულებების გაუმჯობესება უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და რეაბილიტაციის დარგში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

შედეგი A1. მოქმედ პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ახალი, მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებების დიზაინი და მშენებლობა

აქტივობა A.1.1. ლოჯისტიკური გეგმის შემუშავება არსებული და სამომავლო საჭიროებების გათვალისწინებით

54 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.abc.net.au/news/2017-03-16/plans-unveiled-for-australias-largest-prison-near-grafton/8360862;

55 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.bbc.com/news/uk-england-humber-49681744; https://www.express.co.uk/news/uk/1176339/yorkshire-news-hop-full-sutton-mega-jail-new-prison-objections.

56 სამოქმედო გეგმის ტექსტი ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/4490017?publication=0

ინდიკატორი: აქტივობა რამდენიმე ინდიკატორს მოიცავს, რომლებიც მისი შესრულების პროცესის ეტაპობრივად შეფასების შესაძლებლობას იძლევა: პენიტენციური დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების პირველადი შეფასება და დადგენილია ახალი შენობების/არსებული შენობების გაფართოების შესაძლებლობები (2019 წლის აპრილი); ახალი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სტანდარტი შემუშავებულია (2019 წლის სექტემბერი); განვითარების გეგმა ხარჯთაღრიცხვით მომზადებულია (2019 წლის სექტემბერი); №14 და № 15 პენიტენციური დაწესებულებების დახურვის გეგმა წარდგენილია (2019 წლის სექტემბერი); №9 და №19 პენიტენციური დაწესებულებების გადატანის გეგმა წარდგენილია (2019 წლის სექტემბერი); №17 პენიტენციური დაწესებულებების დახურვის გეგმა წარდგენილია (2020 წლის დეკემბერი); №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმა მომზადებულია (2019 წლის დეკემბერი); ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი და №9 დაწესებულება განთავსებულია ცალკე დაწესებულებაში, გახსნილია 600-ადგილიანი ახალი დაწესებულება (2020 წლის დეკემბერი); ლაითურის დაწესებულების მშენებლობა დასრულებულია (2020 წლის დეკემბერი); 2 ახალი მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულების გეგმა შემუშავებულია (2020 წლის დეკემბერი);

რელევანტურობა: აქტივობა თავისი შინაარსით რელევანტურია, თუმცა ინდიკატორების მხოლოდ პირველი ნაწილი - პენიტენციური დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების პირველადი შეფასებიდან განვითარების გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადების ჩათვლით, შეიძლება იქნეს განხილული როგორც გაზომვადი, დანარჩენი ინდიკატორების პროგნოზირება სამოქმედო გეგმის ეტაპზე საკმაოდ რთული იყო, შინაარსიდან გამომდინარე, მათი ზუსტი დაიდენტიფიცირება და ვადების განსაზღვრა უფრო მეტად შეფასების პროცესისა და განვითარების გეგმის შემუშავების ეტაპზე და ამ პროცესის დასრულების შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი;

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: ეს აქტივობა არის რელევანტური და გაზომვადი. თუმცა, რადგან შესრულების მდგომარეობის შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, ამ ეტაპზე მეტი შეფასების გაკეთება შეუძლებელია.

აქტივობა A.1.2. პენიტენციური დაწესებულებების სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ეფექტიანობის და ტევადობის შესწავლა

ინდიკატორი: მომზადებულია ანგარიში შესაბამისი რეკომენდაციებით (2019 წლის ივნისი);

რელევანტურობა: ეს აქტივობა თავისი შინაარსით ასევე გულისხმობს რეალურად პენიტენციური ინფრასტრუქტურის შეფასებისათვის საჭირო ღონისძიებებს, რაც ისედაც გათვალისწინებულია **აქტივობა A.1.1.**-ის ფარგლებში პენიტენციური დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობების პირველადი შეფასების პროცესში და ერთი შეხედვით მის გავრცობილ ან უფრო სრულყოფილ სახეს წარმოადგენს; შესაბამისად მისი ცალკე აქტივობის სახით გამოყოფის საკითხი არარელევანტურია; ინდიკატორი გაზომვადი და ვადაში გაწერილია;

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: ეს აქტივობა არარელევანტურია, როგორც ცალკე აღებული და წარმოადგენს ლოჯისტიკური გეგმის შემუშავების პროცესის ერთ-ერთ ღონისძიებას, რადგან მისი განხორციელების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი გეგმის შემუშავება. მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

აქტივობა A 1.3. საკნებში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

ინდიკატორი: პირველადი სამუშაოები დასრულებულია (2019 წლის დეკემბერი); შემუშავებულია დაგეგმილი სარემონტო/განახლებითი სამუშაოების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს პენიტენციური დაწესებულებების მანდელას წესებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას (2020 წლის ივნისი);

რელევანტურობა: აქტივობა რელევანტურია, რადგან განვითარების მასშტაბური გეგმის შემუშავების პარალელურად აუცილებელია, მიმდინარე პრობლემების გადაჭრა და არსებული ფიზიკური გარემოს შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მით უმეტეს, რომ ამ კუთხით არსებობს გარკვეული პრობლემები, რაც დაფიქსირებულია ერთი მხრივ სახალხო დამცველის ანგარიშებში, ხოლო მეორე მხრივ - თავად იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურს ამავე გეგმის მიხედვით უნდა განეხორციელებინა არსებული ინფრასტრუქტურის აუდიტი თავისი ძალებითაც **აქტივობა A.1.1.-**ის მიხედვით. ინდიკატორები არ შეესაბამება აქტივობის დასახელებას,

რადგან თავისი შინაარსით ისინი მხოლოდ შეფასებასა და დაგეგმვას გულისხმობს და არა რეალურ გაუმჯობესებას. პირველი ინდიკატორი ძალზე ზოგადია და არ არის გაზომვადი, რადგან შინაარსიდან გამომდინარე საერთოდ უცნობია რის გაზომვას ისახავს იგი მიზნად.

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია, თუმცა ინდიკატორებიდან გამომდინარე არაგაზომვადია და მისი შესაძლო შედეგებიც გაურკვეველია. მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

შედეგი A2. პენიტენციურ დაწესებულებში უსაფრთხოების, გარე პერიმეტრის დაცვისა და ესკორტის ღონისძიებების გაუმჯობესება დაწესებულებიდან გაქცევის, მიმალვის ან დაწესებულებაში უკანონო ნივთების შეტანის შესაძლებლობის შემცირების მიზნით

აქტივობა A2.1. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლთან (ბუფერულ ზონასთან) დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება

ინდიკატორი: დასრულებულია პენიტენციური დაწესებულებების აუდიტი (2019 წლის აპრილი); მზად არის სარემონტო/განახლებითი სამუშაოების გეგმა და შემცირებულია მიწოდება და მოთხოვნა (2019 წლის სექტემბერი); პენიტენციური დაწესებულებების 80%-ში ჩატარებულია სარემონტო/განახლებითი სამუშაოები აკრძალულ ზოლში უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით (2020 წლის დეკემბერი);

რელევანტურობა: აქტივობა რელევანტურია. ინდიკატორები ლოგიკურად ასახავს პროცესს, თუმცა რაც შეეხება გაზომვადობას, პირველი ინდიკატორი ზოგადი ხასიათისაა და არ იძლევა სრულყოფილი შეფასების შესაძლებლობას, მეორე ინდიკატორი გაზომვადია, მაგრამ მისი ბოლო ნაწილი, მოთხოვნა-მიწოდების შემცირება, თავისი შინაარსით უნდა უკავშირდებოდეს უფრო მესამე ინდიკატორს ვიდრე მეორეს, ამიტომ გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის, მესამე ინდიკატორი გაზომვადია;

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორებიც მეტ-ნაკლებად იძლევა მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობას. თუმცა, მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

შედეგი A3. პირობების გაუმჯობესება არასრულწლოვნების, ახალგაზრდა ზრდასრული პირებისა და ქალებისათვის

აქტივობა A 3.1.

I) ბრალდებული არასრულწლოვნებისთვის

II) მსჯავრდებული არასრულწლოვნებისთვის განსხვავებული რეჟიმების განსაზღვრა და ცალკე დაწესებულებების უზრუნველყოფა

ინდიკატორი: მზად არის განცალკევების გეგმა, მათ შორის, №8 პენიტენციური დაწესებულებებიდან გადაყვანის გეგმა (2019 წლის სექტემბერი); №2 და №11 პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვნებისთვის მოწყობილია ცალკე ინფრასტრუქტურა (2020 წლის დეკემბერი); ფუნქციონირებს განახლებული არასრულწლოვანთა დაწესებულებები; ბრალდებული არასრულწლოვნები განთავსებულნი არიან ზრდასრულებისგან განცალკევებით და ბრალდებული არასრულწლოვნები განთავსებული არიან მსჯავრდებული არასრულწლოვნებისგან განცალკევებით (2020 წლის დეკემბერი);

რელევანტურობა: აქტივობა რელევანტურია. ინდიკატორები გაზომვადი და დროში გაწერილია;

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორები გაზომვადია და იძლევა მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობას. თუმცა, მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

აქტივობა A3.2. ახალგაზრდა ზრდასრული მსჯავრდებული და ბრალდებული (კაცები) პირებისთვის არსებული პატიმრობის პირობების შესწავლა/გადახედვა

ინდიკატორი: შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს რეკომენდაციებს გეგმისთვის (2019 წლის სექტემბერი);

რელევანტურობა: აქტივობა რელევანტურია, თუმცა საკნების ნაწილში გარკვეულად ფარავს **აქტივობა A 1.3.** განსაზღვრულ საქმიანობას და დაზუსტება უმჯობესი იქნებოდა; რაც შეეხება ინდიკატორს, იგი იძლევა პროცესის მხოლოდ ნაწილის გაზომვის შესაძლებლობას, ამ აქტივობის შესრულების სრულფასოვნად შეფასებისთვის საჭიროა დამატებით კიდევ ერთი ინდიკატორი - „რეკომენდაციები შემუშავებულია".

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია, თუმცა ინდიკატორი მისი შეფასების შესაძლებლობას არ იძლევა. მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

აქტივობა A 3.3. ქალთა დაწესებულებაში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათ შორის, დედათა და ბავშვთა სახლში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

ინდიკატორი: მომზადებულია კონცეფცია და გამოყოფილია საკმარისი ბიუჯეტი (2019 წლის დეკემბერი); დედათა და ბავშვთა სახლი სრულად ფუნქციონირებს (2020 წლის დეკემბერი);

რელევანტურობა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორები გაზომვადი და დროში გაწერილი;

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია და ინდიკატორები მისი შესრულების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

მიზანი C. პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბრალდებულების, მსჯავრდებულების, თანამშრომლებისა და სტუმრებისთვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნა

შედეგი C1. პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბენეფიციარების, თანამშრომლებისა და სტუმრებისათვის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება

აქტივობა C1.2. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე დრონების გადაფრენის შემთხვევების შესამცირებლად შესაბამისი ზომების მიღება

ინდიკატორი: განხილვა დასრულებულია და გეგმა მომზადებულია (2019 წლის ივლისი);

რელევანტურობა: საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ეს აქტივობა **აქტივობა A2.1**. ნაწილს წარმოადგენს და, როგორც წესი, **A2 შედეგის** მიღწევა სწორედ **აქტივობა A2.1** და **აქტივობა C1.2.** გათვალისწინებული ღონისძიებების ერთობლივი განხორციელების შედეგად კომპლექსური მიდგომით ხდება. რაც შეეხება ინდიკატორს, იგი აქტივობის შესრულების მხოლოდ ნაწილობრივი გაზომვის შესაძლებლობას იძლევა.

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია, თუმცა სტრუქტურულად არასწორად არის ჩამოყალიბებული. რაც შეეხება ინდიკატორს, იგი არ იძლევა აქტივობის სრულყოფილად გაზომვის საშუალებას. რადგან თავისთავად მხოლოდ საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა არ არის საკმარისი ზომა, რომელიც დრონების გადაფრენას შეამცირებს. მით უმეტეს მხედველობაში უნდა იქნეს მირებული ის გარემოებაც, რომ პრაქტიკის შესაწავლისა და გეგმის შემუშავების შემდეგ წინ მთელი 18 თვეა ზომების მისაღებად, რაც საკმარისი ვადაა, მათ შორის სათანადო შესყიდვების განსახორციელებლად. მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

მიზანი D. ბრალდებულების, მსჯავრდებულების, სტუმრებისა (მოწყვლად ჯგუფებზე განსაკუთრებული აქცენტით) და თანამშრომლების უფლებების დაცვა

შედეგი D2. მსჯავრდებულებისთვის დასაქმების, პროფესიული სწავლების, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ამ მიზნით შესაბამისი სისტემებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით

აქტივობა D2.1 . მსჯავრდებული პირებისთვის მომზადებისა და გადამზადების ცენტრის შექმნა

ინდიკატორი: მომზადებისა და გადამზადების ცენტრი ფუნქციონირებს (2019 წლის აპრილი)

რელევანტურობა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორი გაზომვადი და დროში გაწერილი;

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორი იძლევა მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობას. თუმცა, მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

შედეგი D3. ოჯახებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ოჯახთან კონტაქტის წახალისება

აქტივობა D3.1. სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით გეგმის შემუშავება

ინდიკატორი: არასრულწლოვნებთან მიმართებით ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით მიდგომა და გეგმის პროექტი მომზადებულია (2019 წლის ივნისი); არასრულწლოვნებთან მიმართებით ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით გეგმის განხორციელების ანგარიში მომზადებულია (2019 წლის დეკემბერი); დანერგილია ახლებური მიდგომა ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით (2020 წლის დეკემბერი);

რელევანტურობა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორები გაზომვადი და დროში გაწერილი;

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორი იძლევა მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობას. თუმცა, მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

შედეგი D4. თანამშრომლებისთვის ღირსეული, რესპექტაბელური და არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების შექმნა პენიტენციურ დაწესებულებებში

აქტივობა D4.1. თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ინდიკატორი: პენიტენციური დაწესებულების გარეთ არსებული ტერიტორიები არის განახლებული/გარემონტებული (2019 წლის აპრილი); პენიტენციური სამსახურის საბადრაგო სამმართველოს თანამშრომლების 100% სათანადოდ არის აღჭურვილი (2019 წლის სექტემბერი); შემუშავებულია პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების კვებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების გეგმა (2019 წლის სექტემბერი); საგუშაგოები გარემონტებულია (2020 დეკემბერი);

რელევანტურობა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორები გაზომვადი და დროში გაწერილი;

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორი იძლევა მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობას. თუმცა, მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

მიზანი G. სპეციალური პენიტენციური სამსახურის/პრობაციის ეროვნული სააგენტოს მენეჯმენტისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება, გატარებული რეფორმების ცნობადობის უზრუნველყოფა

შედეგი G1. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზების სისტემების გაუმჯობესება ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების მიზნებისათვის

აქტივობა G1.1 სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის შემუშავება და დანერგვა

ინდიკატორი: მთლიანი სისტემის პროცესების რუკები მზად არის (2019 წლის იანვარი); სისტემის საჭიროებების და მახასიათებლების პროექტი მზად არის (2019 წლის ივლისი); ყველა სპრინტი (პროგრამული შემუშავების ციკლი) დასრულებულია (2020 წლის თებერვალი); მონაცემთა გადატანა ახალ სისტემაში (მონაცემთა მიგრირება) და ტესტირება დასრულებულია; ახალი სისტემა ფუნქციონირებს (2020 წლის დეკემბერი);

რელევანტურობა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორები დროში გაწერილი და გაზომვადია.

შესრულების შეფასება: მონაცემები არ მოიპოვება;

დასკვნა: აქტივობა რელევანტურია, ინდიკატორი იძლევა მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობას. თუმცა, მონაცემების არარსებობის გამო მისი შესრულების მდგომარეობის შეფასება შეუძლებელია.

გეგმა არ შეიცავს ინფორმაციას ფინანსური რესურსებისა და დაფინანსების წყაროს შესახებ, რაც გარკვეულწილად ართულებს მასში გაწერილი აქტივობების რეალისტურობისა და მიღწევადობის კრიტერიუმებით შეფასებას. განსაკუთრებით პრობლემურია ამგვარი ინფორმაციის არარსებობა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებით, რაც ძირითადად არა საოპერაციო, არამედ კაპიტალური დანახარჯების გაწევასთან არის დაკავშირებული.

4. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა

პენიტენციურ სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას და გაზიარებას დიდი ხნის ისტორია აქვს და ეს ტრადიცია ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან (თანამედროვე გაგებით პენიტენციური სისტემების ჩამოყალიბებისთანავე) იღებს სათავეს.[57] ამ მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მაგალითებია 1831 წელს საფრანგეთის მთავრობის მიერ ალექსის ტოკვილის მივლინება ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკული ციხეების დიზაინის შესასწავლად, აგრეთვე, მიდგომების გაზიარების მიზნით პირველი საერთაშორისო პენიტენციური კონგრესის გამართვა ფრანკფურტში 1846 წელს.[58] მით უმეტეს, საქართველოს პენიტენციური სისტემის განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც საუბარია ახალი დაწესებულების სტანდარტებსა და დიზაინზე და არა ოპერაციულ მიდგომებზე, წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. წინამდებარე ანგარიშის ერთ-ერთი ამოცანაა ამ კუთხით პირველადი ზოგადი სურათის ჩამოსაყალიბებლად სასარგებლო მონაცემების იდენტიფიცირება, რაც შემდეგ პრინციპს ემყარება: ამ თავის პირველი ნაწილი ეთმობა ციხის ინფრასტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტებისა და მათგან გამომდინარე სახელმძღვანელო დოკუმენტების მოკლე მიმოხილვას, ხოლო მეორე ნაწილში - თემატურად სამოქმედო გეგმის ინფრასტრუქტურული ნაწილის აქტივობების მიხედვით, განხილულია კონკრეტული ქვეყნების წარმატებული მაგალითები.

4.1. საერთაშორისო სტანდარტები

პენიტენციურ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების განმსაზღვრელი დოკუმენტები, რომლებიც მათ შორის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს შეიცავს, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება გაერთიანებული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებული უნივერსალური წესები პატიმრების მოპყრობის საკითხებზე, აგრეთვე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპის სამართლებრივ სივრცეში პატიმრების მდგომარეობისა და სასჯელის აღსრულების მარეგულირებელ ნორმებს. ამ ტიპის სტანდარტები, მათი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საერთაშორისო-სამართლის ნაწილია და აქტიურად გამოიყენება როგორც სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოების მიერ პოლიტიკის დოკუმენტების, სამართლებრივი აქტების შემუშავებისა და ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას[59], ისე უფლებადაცვითი ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა ტიპის შემოწმებებისა და მონიტორინგის პროცესში,[60] აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სასამართლოების მიერ შეფასებების პროცესში.[61] ამ ჯგუფს მიეკუთვნება:

57 . Dirk van Zyl Smit, "International Prison Standards and Transnational Criminal Justice," UC Irvine Journal of International, Transnational, and Comparative Law, 4, 2019, p.101;

58 იქვე,

59 მითითება ამ სტანდარტებზე მოცემული სხვადასხვა წლების საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმებში, ხელმისაწვდომია:http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201;:

60 მაგალითად, მითითება მანდელას წესებსა და ბანგკოკის წესებზე გვხვდება სახალხო დამცველის 2014 და 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშებში. ხელმისაწვდომია:http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi

61 იხ. Dirk van Zyl Smit, "International Prison Standards and Transnational Criminal Justice," UC Irvine Journal of International, Transnational, and Comparative Law, 4, 2019, p.108-109;

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები);
- ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები (ბანგკოკის წესები);
- თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები (ჰავანას წესები);
- ევროპის საბჭოს ევროპული ციხის წესები;
- ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის ზოგადი სტანდარტები.

საერთაშორისო სტანდარტების ამსახველი დოკუმენტების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათისაა და კონკრეტულ სფეროებში წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცალკეული ინსტიტუტების მიერ. წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის ამგვარ დოკუმენტებად შეძლება განხილულ იქნეს:

- ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო, მომზადებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ;
- დინამიური უსაფრთხოებისა და ციხეში ინფორმაციის შეგროვების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) სახელმძღვანელო დოკუმენტი;
- მაღალი რისკის მსჯავრდებულთა მართვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) სახელმძღვანელო დოკუმენტი;
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დამხმარე სახელმძღვანელო ციხეებში წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობებისა და საცხოვრებელი გარემოს შესახებ.

ამ ტიპის დოკუმენტები, როგორც წესი, შეიცავს უფრო მეტად ტექნიკური ხასიათის ინფორმაციას, რომლებიც უნივერსალური წესების ეფექტური რეალიზაციის მიზნით არის შემუშავებული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები) პენიტენციურ სფეროში საერთაშორისო მოთხოვნების განმსაზღვრელი პირველი დოკუმენტია[62]. პენიტენციური ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით იგი ყურადსაღებია რადგან განსაზღვრავს პატიმართა ძირითად უფლებრივ მდგომარეობას და ადგენს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პატიმართა განთავსებისა და საცხოვრებელი პირობები: განათება, ვენტილაცია, ტემპერატურა, სუფთა ჰაერის ხელმისაწვდომობა, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, პირადი სივრცე და.ა.შ (წესები 12-18); საწოლი სივრცე (წესი 21), სუფთა ჰაერზე ყოფნა (წესი 23). მანდელას წესები ასევე, განსაზღვრავს ვალდებულებას, რომ პენიტენციურ დაწესებულებას ჰქონდეს სამედიცინო ინფრასტრუქტურა (წესი 25) და ბიბლიოთეკა (წესი 64), აგრეთვე მსჯავრდებულის გარესამყაროსთან კავშირისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (წესები 58 და 61).[63] მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მანდელას წესები სარეკომენდაციო ფორმატში მიუთითებს მცირე ტიპის ციხეების უპირატესობაზე იმდენად, რამდენადაც ეს ხელს უწყობს სასჯელის ინდივიდუალურად დაგეგმვასა და მოხდას. თუმცა დაწესებულებები არ უნდა იყოს იმდენად მცირე, რომ არ გააჩნდეს სათანადო ინფრასტრუქტურა და ვერ უზრუნველყოს ყველა აუცილებელი სერვისი (წესი 89).

მანდელას წესების სწორი იმპლემენტაციისთვის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გამოსცა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია განმარტებები მთელ რიგი წარმატებული პრაქტიკული მაგალითებით.[64] თუმცა ეს სახელმძღვანელო უფრო მეტად სასჯელის აღსრულების პროცესზეა ორიენტირებული, ვიდრე ინფრასტრუქტურის საკითხებზე.

62 გვ.102;

63 ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია:https://undocs.org/A/RES/70/175;

64 ტექსტი ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/ka/odihr/406940;

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები (ბანგკოკის წესები), თავისი არსით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გარკვეულ დამატებას წარმოადგენს, რომელიც სპეციალიზებულია ქალ პატიმართა უფლებებზე.[65] ბანგკოკის წესები იმეორებს ყველა იმ ძირითად უფლებას რაც აღნიშნული მინიმალური სტანდარტული წესებით არის გარანტირებული და დამატებით, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს რამდენიმე საკითხს, როგორებიცაა, ქალთა საჭიროებებზე მორგებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა შექმნა და წყალზე ხელმისაწვდომობა (წესი 5), პაემნების ინფრასტრუქტურის იმგვარად მოწყობის ვალდებულება, რომ დედებთან ვიზიტის მსურველი ბავშვებისთვის შეიქმნას პოზიტიური გარემო (წესი 28), ფეხმძიმე ქალების ჯანსაღი გარემოთი უზრუნველყოფა (წესი 48), ბავშვებისთვის, რომლებიც პატიმარ დედასთან იზრდებიან, სათანადო გარემოს შექმნის ვალდებულება (წესი 51).[66]

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები (ჰავანას წესები) არასრულწლოვანთა განთავსების თემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს.[67] კერძოდ, დადგენილია არასრულწლოვანი პატიმრებისთვის საჭიროებებზე მორგებული, მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფისა და სათანადო ზრუნვისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნის ვალდებულება (წესი 28). ამ მიზნების მიღწევის შესაბამის ინსტრუმენტად, ჰავანას წესებით, მიჩნეულია არასრულწლოვანთათვის ღია ტიპის, მცირე დაწესებულებების შექმნა, რომელიც აღჭურვილია უსაფრთხოების მინიმალური ზომებით ან მის გარეშე (წესი 30). არასრულწლოვანთა დაწესებულებების დიზაინი და სტრუქტურა ორიენტირებული უნდა იყოს რეაბილიტაციაზე და ქმნიდეს უსაფრთხო გარემოს არასრულწლოვანთათვის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფის ჩათვლით (წესი 32). ჰავანას წესებით დეტალურად არის გაწერილი არასრულწლოვან პატიმართათვის ძილისა და პირადი მიზნებისთვის საჭირო სივრცეების (წესები 33, 35, 36), სანიტარულ-ჰიგიენური პირობების (წესი 34), განათლებასა და ბიბლიოთეკაზე ხელმისაწვდომობის (წესები 38, 41), სარეკრიაციო სივრცეების (წესი 47) უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები. თუმცა ჰავანას წესების დადგენილი ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური სტანდარტი, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს სასჯელაღსრულების სისტემებზე, არის არასრულწლოვანი პატიმრების სრულწლოვანი პატიმრებისგან სრული იზოლირების მიდგომა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა სრულწლოვან პატიმრებთან კომუნიკაცია ემსახურება რეაბილიტაციის მიზნებს (წესი 29).[68]

ევროპული ციხის წესები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დადგენილი უნივერსალური წესებისგან განსხვავებით, ევროპის სამართლებრივ სივრცეში უფრო მეტი პრაქტიკული ზეგავლენის მქონე სტანდარტებს წარმოადგენს, რაც აღსრულების უზრუნველყოფის ისეთი ეფექტური მექანიზმებით არის განპირობებული, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი. მათი საქმიანობის შედეგად ჩამოყალიბებული ოფიციალური განმარტებების მეშვეობით თავად ევროპული ციხის წესებმა კიდევ უფრო მეტი შინაარსობრივი და პრაქტიკული დატვირთვა შეიძინა.[69] პატიმრობის მატერიალური პირობების განმსაზღვრელ მინიმალურ მოთხოვნებს მე-18-21-ე წესები აყალიბებს, რომლებშიც საუბარია საცხოვრებელ და ძილისთვის საჭირო სივრცეების მოწყობის პრინციპებზე, აგრეთვე ჰიგიენის საკითხებზე. 28-ე წესში განმტკიცებულია პენიტენციურ დაწესებულებაში ბიბლიოთეკის ფუნქციონირების აუცილებლობა.

სწორედ ევროპული ციხის წესების მოთხოვნებზე დაყრდნობით და მისი განმარტების გზით ჩამოაყალიბა ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტმა სხვადასხვა შემოწმებების დროს გაცემული პრაქტიკული დასკვნებისა რეკომენდაციების ფორმატში გარკვეული ზოგადი სტანდარტები, მათ შორის ადამიანის ღირსებისა და ნორმალური საცხოვრებელი პირობებისთვის შესაფერის მინიმალური ფართობად საერთო სივრცეში 4 კვადრატული მეტრის, ხოლო ერთადგილიანი საკნის პირობებში 6 კვადრატული მეტრის მოთხოვნა.[70] ამ მიდგომას ეფუძნება დღეისთვის საქართველოს პენიტენციური სისტემის სტანდარტები მსჯავრდებული პატიმრების მიმართ.[71] თუმცა ჯერჯერობით

65 ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Bangkok_Rules_ENG_22032015.pdf;

66 იქვე;

67 ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/United_Nations_Rules_for_the_Protection_of_Juveniles_Deprived_of_their_Liberty.pdf;

68 არსრულწლოვანი პატიმრების სრულწლოვანი პატიმრებისგან სრული იზოლირების პრობლემა ჯერ ისევ რჩება ერთ-ერთ გამოწვევად საქართველოს პენიტენციური სისტემისთვის და №8 ნაწილში, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს სახალხო დამცველის 2014-2018 წლების ანგარიშებში. ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

69 ევროპული ციხის წესების ოფიციალური ტექსტი განმარტებებით ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae;

70 ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის საერთო მოთხოვნები ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/cpt/prisons;

71 იხ. საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=31;

ეს სტანდარტი გაზიარებული არ არის პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებთან დაკავშირებით,[72] რაც სახალხო დამცველის მხრიდან კრიტიკის საგანია.[73]

რაც შეეხება სარეკომენდაციო ხასიათის საერთაშორისო დოკუმენტებს, მათ შორის, ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო, პენიტენციური ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს[74]. მასში დეტალურად არის გადმოცემული სხვადასხვა ტიპის ციხის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისთვის აუცილებელი რეკომენდაციები. ამ დოკუმენტის ძლიერი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მასში ციხის დიზაინი და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები ციხის მართვის ოპერაციებისა და ძირითადი სერვისების მოწოდების კონტექსტშია განხილული და დეტალურად მოიცავს როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს, ისე რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებას. ამ 265 გვერდიანი გვერდიანი დოკუმენტის სრულყოფილი ანალიზი სცდება მოცემული ანგარიშის ფარგლებს, თუმცა, უშუალოდ ინფრასტრუქტურულ ნაწილთან დაკავშირებით მოკლე მიმოხილვის ფარგლებში შეიძლება, აღინიშნოს რამდენიმე ძირითადი ასპექტი. ინფრასტრუქტურის დაგეგმვისთვის საჭირო რეკომენდაციები იწყება ადგილის სწორად შერჩევის საკითხით და განხილულია ურბანულ და მოწყვეტილ, განუვითარებელ ადგილზე ციხის მშენებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.[75] თავად ციხის ინფრასტრუქტურა, დოკუმენტის მიხედვით სამ ტიპად იყოფა კორპუსული, კლასტერული და ინტეგრირებული. კორპუსული სისტემის ციხე გულისხმობს იზოლირებულად მდგომ ცალკეულ შენობებს (საქართველოს დღევანდელი პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობა ამ ტიპის ციხეა), კლასტერული დაწესებულება არის ციხე, სადაც მსჯავრდებულები განთავსებული არიან რამდენიმე სხვადასხვა შენობაში, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო სივრცეებით და იზიარებენ ამ სივრცეებს სხვადასხვა მიზნისთვის მაგალითად, სარეკრეაციო, სარეაბილიტაციო და ა.შ. (სავარაუდოდ, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან გამომდინარე, ეს ტიპი მიესადაგება ე.წ. ლაითურის დაწესებულებას), რაც შეეხება ინტეგრირებულ დაწესებულებას, იგი წარმოადგენს ერთიან შენობას, სადაც მსჯავრდებულები განთავსებული არიან სხვადასხვა ფლიგელში, სხვადასხვა სართულზე ან გამიჯნულ სივრცეებში, თუმცა მთელი საოპერაციო სისტემა ერთიანია (ამ ტიპის ციხეები ძირითადად ურბანულ ადგილებში შენდება). აღსანიშნავია, რომ ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო არ იძლევა რეკომენდაციას რომელიმე ციხის ტიპის ან მოდელის უპირატესობის შესახებ. იგი ამ სამი ტიპის ციხისთვის შეიცავს კონკრეტულ რჩევებს ზონირების, საცხოვრებელი და სერვისებისა და რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი სივრცეების მოწყობის დეტალურ რეკომენდაციებს, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ჩათვლით. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში ყურადღება არის გამახვილებული არა მხოლოდ შენობებსა და ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე, არამედ განხილულია პატიმრებისთვის ხედისა და გარემოს აღქმის შესაძლებლობის შექმნის კონტექსტიც კი.[76] ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო მეტად პრაქტიკული დოკუმენტია, იმის გათვალისწინებით, რომ იგი არა მხოლოდ თეორიულად განიხილავს ციხის მოწყობისა და ფუნქციონირების ცალკეულ ასპექტებს, არამედ შეიცავს კონკრეტულ სამოდელო გეგმებსა და ნახაზებს თითოეული სართულისა და ფლიგელის მიხედვით.[77] მისი დეტალური შესწავლა და ამ დიდი მოცულობის ინფორმაციის სრულყოფილად დამუშავება მნიშვნელოვან პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის თანამდებობის პირებს ლოჯისტიკური განვითარების გეგმისა და ახალი დაწესებულების სტანდარტის შექმნის პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ლოჯისტიკური განვითარების გეგმის შედგენის მომენტი, რადგან ამ დროს უნდა დაიგეგმოს რამდენი კორპუსული, კლასტერული ან ინტეგრირებული დაწესებულება სჭირდება საქართველოს პენიტენციურ სისტემას, ან სჭირდება თუ არა საერთოდ, მაგალითად რომელიმე მათგანი. ინტეგრირებული ციხე საცხოვრებელი ზონით, სერვისებისა და სარეკრეაციო-სარეაბილიტაციო სივრცეებით შეიძლება ეს საუკეთესო გამოსავალი იყოს მცირე ზომის დახურული ტიპის დაწესებულების მოსაწყობად მაღალი რისკის მსჯავრდებულებისთვის, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ირლანდიაში ან ინგლისში.

დინამიური უსაფრთხოებისა და ციხეში ინფორმაციის შეგროვების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) სახელმძღვანელო დოკუმენტი ყურადსაღებია იმ თვალსაზრისით, რომ სახალხო დამცველის შეფასებით, პენიტენციური სისტემის ერთ-ერთ გამოწვევაა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტატიკური მოდელი. მის თითქმის ყველა საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნულია

72 იქვე. მე-15 მუხლის მე-3 ნაწილი;

73 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014-2018 წლების ანგარიშები. ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

74 ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: https://content.unops.org/publications/Technical-guidance-Prison-Planning-2016_EN.pdf?mtime=20171215190045;

75 იქვე, გვ. 65-223;

76 იქვე, გვ 75;

77 იქვე, გვ-105-108;

დინამიური უსართხოების დანერგვის მოთხოვნა, როგორც ციხეებში არსებული საერთო ვითარების გაუმჯობესების ინსტრუმენტი.[78] დინამიური უსაფრთხოება მართალია, თანამშრომელთა სამუშაო მეთოდია, ოპერაციულ უსაფრთხოებას გულისხმობს და ძირითადად მისი უზრუნველყოფა ციხის თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ურთიერთობას ემყარება.[79] მაგრამ ამ ტიპის უსაფრთხოების სტანდარტები მაინც გულისხმობს ფიზიკური უსაფრთხოების გარემოს დაგეგმვასა და შექმნას, რაც ისევ ინფრასტრუქტურას უკავშირდება. ამ კონტექსტში დინამიური უსაფრთხოების სახელმძღვანელო გარკვეულ მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს შეიცავს.[80] აქედან გამომდინარე, სრულყოფილი სურათის შესაქმნელად იგი ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელოსთან კომბინაციაში უნდა იქნეს განხილული.

ასევე ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელოსთან ერთად უნდა იქნეს შესწავლილი მაღალი რისკის მსჯავრდებულთა მართვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც შეიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს მაღალი რისკის მსჯავრდებულთა განთავსების კუთხით და გარკვეულად ავსებს ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელოს დახურული დაწესებულების დაგეგმვის ნაწილში.[81] მაღალი რისკის მსჯავრდებულთა მართვის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტში კომპლექსურად არის განხილული ინფრასტრუქტურა და ოპერაციები, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.[82] ასევე დეტალური ყურადღება ეთმობა მაღალი რისკის მსჯავრდებულთა განთავსების პირობებთან დაკავშირებული სტანდარტების მიმოხილვას[83] და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქართული პენიტენციური სისტემის არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, ამ დოკუმენტში მოცემულია სასარგებლო ინფორმაცია დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისთვის საჭირო სივრცეებისა და პროგრამების შესახებ, ასევე გათავისუფლებისათვის მომზადების სისტემის ორგანიზების შესახებ. რაც მთავარია, ყველა ეს საკითხი განხილულია სხვადასხვა ქვეყნის პენიტენციური სისტემის წარმატებული პრაქტიკული მაგალითების მეშვეობით.[84] ერთ-ერთი ასეთი მაგალითია, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან (კრიმინალური სუბკულტურა) არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო პროგრამა ინგლისში, მისი უდიდებულესობის თემსაიდის ციხეში (HMP Thameside), რომელიც მიმართული იყო ორგანიზებული დამნაშავეებისთვის კრიმინალური სუბკულტურის მავნე და ილუზორული ეფექტის მქონე ცხოვრების წესისა და ე.წ. ფასეულობათა რეალური შედეგების ჩვენებაზე.[85]

ციხეებში წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობებისა და საცხოვრებელი გარემოს შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დამხმარე სახელმძღვანელო[86] ემყარება სხვადასხვა ქვეყანაში ორგანიზაციის საქმიანობის თითქმის 60 წლიან გამოცდილებას[87]. იგი შეიცავს ციხის ტერიტორიის განაშენიანების პრინციპებს[88], ზოგადი არქიტექტურულ საკითხებსა და შიდა ინფრასტრუქტურულ გადაწყვეტებს (საკნებისა და სხვა დაკავშირებული სივრცეების მოწყობის რეკომენდაციების ჩათვლით)[89]. მასში ასევე განხილულია ციხის ექსპლუატაციის პრობლემები[90] და მოცემულია დეტალური რეკომენდაციები, მაგალითად, სავენტილაციო, წყლის მიწოდების სისტემების შესახებ[91] და ა.შ. დოკუმენტში ცალკეა განხილული ქალ პატიმართა (მათ შორის ბავშვიანი პატიმრების) და არასრულწლოვანთა ფიზიკური გარემოს მოწყობის რეკომენდაციები[92]. ციხეებში წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობებისა და საცხოვრებელი გარემოს შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დამხმარე სახელმძღვანელო საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ თეორიულ დისკურსთან ერთად შეიცავს პრაქტიკულ მაგალითებს.

78 იხ. დამცველის 2014 წლის საპარლამენტი ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ 45; სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტი ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ 48; სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტი ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ 43; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi;

79 იხ. დინამიური უსაფრთხოების შესახებ ევროპის საბჭოს ტრენერთა სახელმძღვანელო დოკუმენტი გვ. 8; ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/final-training-manual-on-dynamic-security-june-2018-koregirana-4-/16808ccae2;

80 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის სახელმძღვანელო დინამიური უსაფრთხოებისა და ციხეში ინფორმაციის შეგროვების შესახებ, გვ 11-12, ხელმისაწვდომია: https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/UNODC_Handbook_on_Dynamic_Security_and_Prison_Intelligence.pdf

81 ტექსტი ხელმისაწვდომია: https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/HB_on_High_Risk_Prisoners_Ebook_appr.pdf;

82 იქვე, გვ. 63-76;

83 იქვე. გვ. 51-62;

84 იქვე, გვ. 105-141;

85 დეტალური ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციისა და პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია: https://www.catch-22.org.uk/;

86 ტექსტი ხელმისაწვდომია:https://www.icrc.org/en/doc/assets/files/publications/icrc-002-4083.pdf;

87 იქვე, გვ.34.;

88 იქვე, გვ. 13-20;

89 იქვე, გვ 20-41;

90 იქვე, გვ.67-73;

91 იქვე, გვ.43-56;

92 იქვე, გვ.56-67;

4.2. კონკრეტული ქვეყნების გამოცდილება

კონკრეტული ქვეყნების გამოცდილება, სამოქმედო გეგმის აქტივობების მიხედვით, შესწავლილ იქნა შემდეგ თემებზე:

- ლოჯისტიკური გეგმის შედგენა და არსებული ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის შესწავლა;
- საკნებში არსებული პატიმრობის პირობები;
- პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლთან (ბუფერულ ზონასთან) დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები და დრონების გადაფრენის პრობლემა;
- არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი რეჟიმი და ახალგაზრდა ზრდასრულ მსჯავრდებულთა პატიმრობის პირობები;
- ქალთა დაწესებულებაში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათ შორის, დედათა და ბავშვთა სახლში არსებული საცხოვრებელი პირობები.

4.2.1. ლოჯისტიკური განვითარების გეგმა - ირლანდია

ირლანდიის რესპუბლიკის პენიტენციური სისტემის გამოცდილება ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე გარემოების გათვალისწინებით. პირველ რიგში, ირლანდიის ციხის სამსახურის საქმიანობა, მათ შორის პატიმრობის პირობების გაუმჯობესებისა[93] და სარეაბილიტაციო პროგრამების მიმართულებით,[94] დადებითად არის შეფასებული სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგარიშებსა და კვლევებში. აგრეთვე აღიარებულია მისი წარმატება განმეორებითი დანაშაულის შემცირების კუთხით.[95] ირლანდიის ციხის სამსახურის მიერ ამ წარმატების მიღწევის ერთ-ერთი გზა იყო მოძველებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, რომელიც საერთოდ არ შეესაბამებოდა სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელების საჭიროებებს. [96] რაც მთავარია, ირლანდიის პენიტენციური სისტემა ეფუძნება ე.წ. მცირე ციხეების მიდგომას[97], რომელიც პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის მიხედვით პრიორიტეტად არის გამოცხადებული. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ირლანდიის ციხეების სამსახურის საქმიანობის შესახებ გარკვეული იფორმაცია ცნობილია საქართველოს პენიტენციური სისტემის წარმომადგენლებისთვის, რომელთაც 2017 წელს ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემის ხელშეწყობის პროექტის დაფინანსებით ორგანიზებული ვიზიტის ფარგლებში შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილზე ენახათ ირლანდიის ციხეების ინფრასტრუქტურა.[98]

ირლანდიის ციხის სამსახურმა 2016 წლის 27 ივნისს დაამტკიცა კაპიტალური დანახარჯების სტრატეგია (Capital Investment Strategy), რომელიც 2016-2021 წლებზეა გათვლილი.[99] სტრატეგია მიმოიხილავს სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძვლებს, საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს, ციხეების ინსპექტორის შეფასებებსა და რეკომენდაციებს, ციხის არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში თანამედროვე მიდგომებს, აგრეთვე ციხის სამსახურის საოპერაციო კონტექსტს, რომელიც თავის მხრივ ციხის მოსახლეობისა და ციხის ინფრასტრუქტურის მოკლე ანალიზს მოიცავს, და მათ შესაბამისად აყალიბებს სტრატეგიულ მიზნებსა და კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ გეგმებს.[100] საინტერესოა ის გარემოება, რომ ირლანდიის ციხის სამსახურისთვის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებად მიჩნეულია სკანდინავიური მიდგომა.[101]

93 იხ. ევროპის კავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს ანგარიში Criminal detention conditions in European Union: rules and reality, გვ. 26, https://fra.europa.eu/en/publication/2019/criminal-detention;

94 ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის ანგარიში: Doing More with Less: Prisoner Rehabilitation in Ireland. გვ. 4-5; ხელმისაწვდომია: https://coebank.org/media/documents/Doing_More_with_Less_Prisoner_Rehabilitation_in_Ireland.pdf;

95 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.irishtimes.com/news/crime-and-law/prisoner-numbers-in-highly-successful-rehabilitation-scheme-cut-by-half-1.3874326;

96 ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის ანგარიში: Doing More with Less: Prisoner Rehabilitation in Ireland. გვ. 4; ხელმისაწვდომია: https://coebank.org/media/documents/Doing_More_with_Less_Prisoner_Rehabilitation_in_Ireland.pdf;

97 ინფორმაცია დეტალურად ხელისაწვდომია: https://www.irishprisons.ie/prisons/;

98 ინტერვიუ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პენიტენციური და პრობაციის სისტემის ხელშეწყობის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილესთან.

99 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.irishprisons.ie/about-us/finance-estates/;

100 ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: http://www.irishprisons.ie/wp-content/uploads/documents_pdf/capital_strategy_2016.pdf;

101 იქვე, გვ 8;

სტრატეგია დეტალურად განსაზღვრავს 8 სტრატეგიულ მიზანს, რომელთა მიღწევასაც ემსახურება ინფრასტრუქტურული განვითარება. მათ შორის უნდა გამოიყოს ფუნდამენტური ხასიათის, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ერთადგილიანი საკანი როგორც საბაზისო სტანდარტი, საკანში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების უზრუნველყოფა, ეფექტური ზრუნვისა და რეაბილიტაციის მხარდაჭერა, პატიმართა მრავალფეროვნების გათვალისწინება, გარემოსადმი მეგობრული მიდგომის მხარდაჭერა.[102]

ამ მიზნების აღსრულების ფარგლებში განსაზღვრულია საჭიროებები პენიტენციური დაწესებულებების მიხედვით და შესაბამისი კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, აგრეთვე გაწერილია მათი იმპლემენტაციის გზების და ვადები.[103] ირლანდიური დანახარჯების სტრატეგიის მიხედვით, ინფრასტრუქტული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები კონკრეტულ ციხეებთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს როგორც ცალკე აღებული პროექტი, პროექტის მართვისთვის დამახასიათებელი მიდგომებით.[104]

ირლანდიური გამოცდილების ძლიერი მხარეებია:

ინფრასტრუქტურული განვითარების ჩამოყალიბება ერთის მხრივ, პენიტენციური სისტემის განვითარების ერთიან ხედვის მიხედვით და მის ფარგლებში, ხოლო მეორეს მხრივ ფინანსური რესურსების დაგეგმარების კონტექსტში;

გრძელვადიანი კომპლექსური ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ განვითარებას, რადგან კაპიტალური დანახარჯები დაკავშირებულია დროში გახანგრძლივებულ სამუშაოებთან;

ახალი დაწესებულების მშენებლობასთან ერთად არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის კომპლექსური მიდგომა თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე;[105]

პროექტებზე დაფუძნებული მიდგომა, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესის წარმატებული იმპლემენტაციის საწინდარი.

4.2.2. პატიმრობის პირობები - ნორვეგია, ავსტრია, ბელგია, ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია

პატიმრების ფიზიკური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი საკმაოდ რთულია საკითხის კომპლექსურობისა და მიდგომების მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ანგარიშის ამ ნაწილში განხილულია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, რომლებიც აქტუალურია საქართველოში არსებული ციხის პირობებიდან გამომდინარე გამოწვევების კონტექსტში (განსაკუთრებული რისკის დაწესებულების სტატიკური უსაფრთხოების სისტემა, ბარაკული ტიპის საცხოვრებლები, მცირე ზომის დაწესებულებები და ა.შ.).

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პენიტენციური სისტემები, ისევე როგორც საქართველოს პენიტენციური სისტემა, პატიმართა საცხოვრებელ საკნებთან დაკავშირებით ერთადგილიანი საკნებისა და მრავალადგილიანი საკნების გამოყენებას ემყარება[106]. ევროპის სამართლებრივი სივრცის ფარგლებში ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტებით ერთადგილიანი საკნებისთვის დადგენილია არანაკლებ 6 კვადრატული მეტრის, ხოლო მრავალადგილიან საკნებში ერთ პატიმარზე არანაკლებ 4 კვადრატული მეტრის სივრცის არსებობის მოთხოვნა.[107] ერთადგილიანი საკნები, როგორც წესი, მაღალი რისკის დაწესებულებებში, ხოლო მრავალადგილიანი (ორი და მეტი) საკნები დაბალი და საშუალო რისკის დაწესებულებებში გამოიყენება. თუმცა ბოლო პერიოდში ამ მიდგომიდან გამომდინარე ადგილი აქვს სხვადასხვა გამონაკლისს. მაგალითად, ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ნიუ ჰანტერის ინოვაციური მაღალი რისკის სასჯელაღსრულების ცენტრი, რომელიც 2018 წლის იანვარში გაიხსნა და მასში მაღალი რისკის მსჯავრდებულები ღია მცირე ტიპის პირად სივრცეებად დაყოფილ საერთო საცხოვრებელში იხდიან სასჯელს 24 საათიანი უწყვეტი ვიდეომეთვალყურეობისა და სპეციალური

102 იქვე, გვ.20;

103 იქვე, გვ. 24-31;

104 იქვე;

105 ამ კომპონენტს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქართული რეალობისთვის, რადგან ახალი მცირე ზომის დაწესებულებების აშენება ვერ მოხსნის დღის წესრიგიდან სხვა მოძველებული პენიტენციური დაწესებულებების მოდერნიზაციის საჭიროებას, განსაკუთრებით რეაბილიტაციის მიმართულებით (მათ შორის მაღალი რისკის დაწესებულებებში);

106 იხ. ორგანიზაცია ციხის საერთაშორისო რეფორმის კვლევა Global Prison Trends 2019, გვ. 8, ხელმისაწვდომია: https://www.penalreform.org/resource/global-prison-trends-2019/;

107 იქვე;

ჯგუფების მუდმივი ვიზუალური მონიტორინგის ქვეშ.[108] ამ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა კვების, პირადი ჰიგიენის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურებისა და სხვა მსგავსი საკითხებისთვის ცალკეა განკუთვნილი ამ ღია სივრცის მომიჯნავე სათანადო დახურული ინფრასტრუქტურა.[109]



ნიუ ჰანტერის სასჯელაღსრულების ცენტრის მსჯავრდებულთა საცხოვრებელი სივრცე.[110]

საქართველოს პენიტენციური სისტემის გამოწვევებიდან გამომდინარე, ეს ინოვაციური გადაწყვეტა შეძლება განხილულ იქნეს როგორც ერთ-ერთი ალტერნატივა ბარაკული ტიპის საშუალო ან დაბალი რისკის დაწესებულებების ჩასანაცვლებად, თუმცა ნაკლებად ესადაგება მაღალი რისკის მსჯავრდებულებთან დაკავშირებულ რეალობას. თუმცა გასათვალისწინებელია, საქართველოს რეალობაში მწეველი და არამწეველი მსჯავრდებულების ერთად განთავსების პრობლემა, რაც ავსტრალიაში დღის წესრიგიდან მოხსნილია მოწევის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებიდან გამომდინარე.

თანამედროვე ევროპული პრაქტიკა, მათ შორის სკანდინავიური მიდგომა,[111] რომელიც ბოლო პერიოდში უფრო მეტად ხდება მისაბაძი მაგალითი,[112] ორიენტირებულია მცირე ციხეებში ერთადგილიანი საკნების მოწყობაზე. ამ ტენდენციის ერთ-ერთი მაგალითია ზემოთ განხილული ირლანდიის ინფრასტრუქტურული განვითარების სტრატეგია, რომელიც მისაბაძად აცხადებს სკანდინავიურ გამოცდილებას და ადგენს ერთადგილიან საკანს, როგორც პენიტენციური დაწესებულების სამომავლო განვითარების სტანდარტს[113]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომის ფარგლებში სკანდინავიური გამოცდილება,[114] ისევე როგორც სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილება,[115] გულისხმობს გარესამყაროში - საზოგადოებაში არსებულ საყოფაცხოვრებო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოვებული საცხოვრებელი პირობების შექმნას ამგვარ ერთადგილიან საკნებში (მაგალითად, საკანში

108 იხ. ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის სასჯელაღსრულების სამსახურის ოფიციალური მონაცემები, ხელმისაწვდომია: https://www.correctiveservices.justice.nsw.gov.au/Pages/CorrectiveServices/New%20Prisons/cessnock/hunter.aspx;

109 იქვე;

110 წარო:https://www.dailymail.co.uk/news/article-6005507/Inside-Australias-newest-maximum-security-prison-inmates-live-dormitories.html;

111 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.lifeinnorway.net/prisons/;

112 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.bbc.com/news/stories-48885846; აგრეთვე: https://www.weforum.org/agenda/2019/03/incarceration-can-be-rehabilitative;

113 იხ.Irish Prison Service Capital Strategy 2016-2020; pp. 21-22; http://www.irishprisons.ie/wp-content/uploads/documents_pdf/capital_strategy_2016.pdf

114 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.lifeinnorway.net/prisons/

115 მაგალითად ლეობენის სასჯელაღსრულების დაწესებულება ავსტრიაში, რომელიც ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ საუკეთესო გამოცდილებად ითვლება არამხოლოდ ავსტრიაში, არამედ ევროპის მასშტაბით ავსტრიის სასჯელაღსრულების სამსახურის ოფიციალური მიმოხილვა, გვ. 55, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://www.justiz.gv.at/ja_leoben/justizanstalt-leoben~31f.de.html და https://www.independent.co.uk/arts-entertainment/architecture/how-to-build-better-prisons-new-designs-and-a-new-look-at-their-purpose-a6764021.html; ასევე დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია https://www.justiz.gv.at/ja_leoben/justizanstalt-leoben~31f.de.html;

საბაზანო ოთახების მოწყობა და სხვა)[116]. ეს მიდგომა და შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტები საყურადღებოა საქართველოს პენიტენციური სისტემისთვის განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით.

პატიმრების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების საკითხი ასევე განხილულ უნდა იქნეს ტექნოლოგიური განვითარების ჭრილშიც. პენიტენციურ სისტემებში რეაბილიტაციისა და მსჯავრდებულთა სერვისების ნაწილში ტექნოლოგიების დანერგვა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა.[117] მაგალითად, ყველაზე თანამედროვე სტანდარტების ციხე ნორვეგიაში, ჯერ კიდევ არ გულისხმობს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას.[118] თუმცა არის ცალკეული წარმატებული მაგალითები მაღალშემოსავლიან ქვეყნებში (აშშ, ახალი ზელანდია), რომლებშიც ტექნოლოგიები მსჯავრდებულთა საზოგადობაში დაბრუნებისთვის მომზადებისა და რეაბილიტაციის პროცესშიც გამოიყენება.[119] ნებისმიერ შემთხვევაში, იმის გამო, რომ მსჯავრდებულთა პირობების გაუმჯობესების ინფრასტრუქტურული პროექტები დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული სამომავლო პერიოდზეა გათვლილი, ტექნოლოგიური პროგრესის ფაქტორის გათვალისწინება ამ კონტექსტში სასარგებლო იქნება. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებული ქვეყნების პენიტენციურ სისტემებში თანდათან უფრო აქტუალური ხდება ციხეებში ტექნოლოგიების როლზე მსჯელობა შესაბამის აკადემიურ და პროფესიულ წრეებში. მაგალითად, მხოლოდ ამ თემას მიეძღვნა 2019 წლის აპრილში ავტორიტეტული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია სასჯელაღსრულებისა და ციხეების საერთაშორისო ასოციაციისა (ICPA) და ციხეებისა და სასჯელაღსრულების ევროპული ორგანიზაციის (Europris), რომლის წევრიც არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური, ყოველწლიური კონფერენცია.[120]

დღეისთვის პატიმრების პირობების გაუმჯობესების მსოფლიოში რამდენიმე წარმატებული სისტემური ტექნოლოგიური გადაწყვეტის მაგალითია, რომელიც უკავშირდება როგორც ციხეების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ისე პატიმრებისთვის სხვადასხვა სერვისების მიწოდებას. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ციხეების ფედერალური ბიუროს დაკვეთით შეიქმნა ციხის შიდა კომპიუტერული სისტემა TRULINCS (The Trust Fund Limited Inmate Computer System), რომელიც პატიმრებს გარე სამყაროსთან შეზღუდული ფორმატით კომუნიკაციის შესაძლებლობას აძლევს (მაგალითად, ეს სისტემა შესაძლებლობას აძლევს პატიმრებს: პირთა გარკვეულ წრეს, რომელთა რეგისტრაციის ნებართვასაც მისცემს ციხის ადმინისტრაცია, გაუგზავნონ და მათგან მიიღონ ელექტრონული ფოსტა, გამოიყენონ ინტერნეტბანკი, ისარებლონ ელექტრონული ბიბლიოთეკით, დაუკავშირდნენ ციხის ადმინისტრაციას, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვებში ან უბრალოდ მოუსმინონ მუსიკას)[121]. გარდა ამისა, ამერიკის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ციხეების კომპიუტერული სიტემის TRULINCS-ის ფარგლებში და არამხოლოდ ამ სისტემის ფარგლებში, ტექნოლოგიები გამოიყენება: სასამართლოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად, ტელემედიცინის პრინციპზე დამყარებული სამედიციცინო სერვისების მისაღებად, შეზღუდული ინტერნეტბანკინგისთვის, ონლაინ სამართლებრივი დახმარების მისაღებად (მაგალითად, Lexus Nexus) და შეზღუდულად გართობისთვის;[122] განათლების მიზნებისთვის ტექნოლოგიების გამოყენებას სისტემური ხასიათი და ხანგრძლივი გამოცდილება აქვს ავსტრალიასა და ახალი ზელანდიის პენიტენციურ სისტემებს.[123] ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის სასჯელაღსრულების სამსახურის ჰანტერის მაღალი რისკის სასჯელაღსრულების ცენტრი ერთ-ერთი მაგალითია, სადაც ტექნოლოგიები ემსახურება როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ისე მაღალი რისკის მსჯავრდებულთათვის სხვადასხვა სერვისების მიწოდებას (მაგალითად, ამ დაწესებულების ყველა მსჯავრდებულს აქვს თავისი პირადი პროფილი (ე.წ. account), რომლის მეშვეობით შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტის შეზღუდული სერვისით, სატელევიზიო არხებით, ელექტრონული ბიბლიოთეკით, ციხის აუდიო და ვიდეოთეკით ინტერნეტბანკის შეზღუდული სერვისით - ერთი ტრანზაქცია არა უმეტეს 100$, მაქსიმალური თანხა დეპოზიტზე 600$ და ა.შ.).[124] ევროპაში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების მაგალითად შეიძლება განხილულ იქნეს ბელგიის იუსტიციის სამინისტროს ციხეების გენერალური დირექტორატის

116 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნორვეგიის იუსტიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს სასჯელაღსრულების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://www.kriminalomsorgen.no/straff-i-fengsel.237611.no.html; აგრეთვე, https://www.businessinsider.com/norways-prisons-are-better-than-the-american-prisons-2018-6; ასევე იხ. NBC News სიუჟეტი: https://www.youtube.com/watch?v=sCZt2Yipils;

117 იხ. არასამთავრობო ორგანიზაცია ციხის საერთაშორისო რეფორმის ყოველწლიური ანგარიში: Global Prison Trends 2019, გვ.37, ხელმისაწვდომია: https://www.penalreform.org/resource/global-prison-trends-2019/;

118 იხ. Steven Van De Steene, Digitizing the Prison: The Light and Dark Future; Prison Service Journal, Special Edition, May 2017,

119 იქვე;

120 იხ. დეტალური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://icpa.org/correctionstech2019/;

121 იხ. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.prisonerresource.com/trulincs/trust-fund-limited-inmate-communication-system-trulincs/

122 იხ. აშშ განათლების დეპარტამენტის კვლევა, ხელმისაწვდომია: https://nicic.gov/educational-technology-corrections-2015;

123 იქვე;

124 დეტალური ინფორმაცია იხილეთ ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის სასჯელაღსრულების სამსახურის ვებგვერდზე: https://www.correctiveservices.justice.nsw.gov.au; აგრეთვე, ციხის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში: https://www.youtube.com/watch?v=UFFwlsCzb0U;

მიერ 2014 წელს გახსნილი ბევერენის დაწესებულება[125], რომელსაც კერძო სექტორთან თანამშრომლობის ფორმატში[126] პატიმრებისთვის სხვადასხვა ელექტრონული სერვისების მიწოდება შეუძლია და ამ მიზნით თავისი Prison Cloud აქვს.[127]

ყველა ზემოთმოყვანილი წარმატებული მაგალითი, მით უმეტეს სკანდინავიური და ავსტრიული გამოცდილება, ერთადგილიანი საკნების პარალელურად გულისხმობს სხვადასხვა ტიპის რეკრეაციული, სასწავლო და სარეაბილიტაციო დანიშნულების სივრცეების არსებობას, რაც საკმაოდ აქტუალურია საქართველოს პენიტენციური სისტემის განსაკუთრებული რისკის დაწესებულებების შემდგომი განვითარებისთვის.

2.2.3. პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლთან (ბუფერულ ზონასთან) დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები და დრონების გადაფრენის პრობლემა - ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი

პენიტენციური დაწესებულებების გარე პერიმეტრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების საერთო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. მისი ამოცანაა აღკვეთოს ორი ტიპის პრობლემა, პატიმართა გაქცევა და დაწესებულებაში აკრძალული ნივთების კონტრაბანდა. საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე კვლევის ეს ნაწილი შეეხება ამ სფეროში არსებული როგორც წარმატებული გამოცდილების, ისე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას.

2000-იანი წლების ბოლომდე სასჯელაღსრულების სისტემებში ციხეების გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძირითადად ინფრასტრუქტურასა (ფიზიკური წინაღობებისა და ღობეების კომპლექსს) და ოპერაციებს (ციხის თანამშრომლების მიერ მუდმივი მეთვალყურეობისა და ინციდენტებზე რეაგირების განხორციელებას) ეფუძნებოდა. 2000-იანი წლების ბოლოდან ამ სფეროში მესამე ელემენტი გაჩნდა და იგი დღეისათვის უკვე სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს ემყარება: ესენია ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები და ოპერაციები.[128] ბოლო წლებში ციხეებში ტექნოლოგიების გამოყენებამ ფართო ხასიათი მიიღო, განვითარების ამ ეტაპზე, ძირითადად მონაცემთა დამუშავებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.[129] ასევე იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ციხეში გარედან სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით უკანონო შეღწევა.[130] პენიტენციური დაწესებულებების უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით ტექნოლოგიების დანერგვის პროექტები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს.[131] ინტერნეტში მრავლად მოიპოვება ტექნოლოგიური კომპანიების შემოთავაზებები ციხეების უსაფრთხოების დასაცავად წარმატებული ტექნოლოგიური გადაწყვეტების შესახებ.[132]

ტექნოლოგიურმა განვითარებამ გამოიწვია როგორც შესაძლებლობების გაძლიერება, ისე პრობლემების ზრდა და განსაკუთრებული სირთულეები შექმნა ციხეებში აკრძალული ნივთების კონტრაბანდის თვალსაზრისით. დრონების ხშირი გამოყენება ციხეებში აკრძალული ნივთების (ტელეფონი, ნარკოტიკი, პორნოგრაფია, იარაღი) კონტრაბანდისთვის პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს მასშტაბით - დიდ ბრიტანეთში,[133] ირლანდიაში,[134]

125 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწდომია: https://justice.belgium.be/fr/themes_et_dossiers/prisons/prisons_belges/prisons/adres_gevangenis_beveren;

126 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.bamppp.com/en/our-projects/beveren-prison;

127 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://eandt.theiet.org/content/articles/2018/02/prison-tech-keeping-inmates-and-staff-secure/, აგრეთვე Euronews-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტში: https://www.youtube.com/watch?v=mXejxvIIa4A

128 იხ. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის სასჯელაღსრულების ეროვნული ინსტიტუტის 2009 კვლევის დოკუმენტის საბოლოო პროექტი, გვ. 3. ხელმისაწვდომია: http://correction.org/wp-content/uploads/2014/10/Jail-Vulnerability-Assessment-JVA-Final-Draft.pdf;

129 იხ. არასამთავრობო ორგანიზაცია ციხის საერთაშორისო რეფორმის ყოველწლიური ანგარიში: Global Prison Trends 2019, გვ.37, ხელმისაწვდომია:

130 იხ. Steven Van De Steene, Victoria Knight, „Digital transformation for prisons: Developing a needs-based strategy“, probation journal, 2017, გვ. 1-13;

131 იხ. დეტალური ინფორმაცია: https://justice-trends.press/category/technology/;

132 მაგალითად იხ: https://www.wi-ltd.com/solution/perimeter-security/;
აგრეთვე, https://www.rbtec.com/markets/correctionalfacilities;
https://www.sightlogix.com/prison-perimeter-security/; https://www.droneshield.com/prisons;

133 დეტალური ინფორმაცია იხ: https://dronelife.com/2018/09/03/uk-prison-stats-illegal-drone-smuggling/;

134 დეტალური ინფორმაცია იხ. : https://www.irishtimes.com/news/ireland/irish-news/drone-used-in-attempted-drug-drop-at-dublin-s-mountjoy-prison-1.3830309;

საფრანგეთში,[135] რუსეთის ფედერაციაში,[136] ავსტრალიაში[137], ახალ ზელანდიაში,[138] კანადაში[139] და ამერიკის შეერთებულ შტატებში[140], სადაც ამ შემთხვევების ყველაზე დიდი სტატისტიკა ფიქსირდება,[141] თანამედროვე ციხის გარე უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევის პრობლემა, რომლის პრევენციაც ასევე ციხის გარე უსაფრთხოების სისტემამ უნდა უზრუნველყოს. ეს საკითხი საკმაოდ პრობლემურია ამერიკის შეერთებულ შტატებში.[142] სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ციხიდან გაქცევის 80%-ზე მეტი დაბალი რისკის დაწესებულებებზე მოდის.[143] მართალია იშვიათად, მაგრამ ადგილი აქვს ასევე განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებიდან გაქცევის შემთხვევებსაც.[144] დაახლოებით მსგავსია გამოწვევები ავსტრალიის პენიტენციურ სისტემაშიც.[145] ევროპის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ბოლო ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ევროპაში პატიმრების გაქცევა ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოწვევას წარმოადგენს მთელ რიგ ქვეყნებში.[146] ფართო გეოგრაფიული არეალისა და ქვეყნებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, გარემოებები და დაწესებულების ტიპები, რომლიდანაც გაქცევა განხორციელდა, განსხვავებულია ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მიხედვით. თუმცა მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში ეს პრობლემა ძირითადად უკავშირდება დაბალი რისკის დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა გაქცევის შემთხვევებს.[147] ოფიციალური სტატისტიკით, აგრეთვე საჯარო წყაროებით (open sources) ხელმისაწვდომი ინფორმაციით, საქართველოში გაქცევის პრობლემა არ არის იმდენად აქტუალური, რამდენადაც აკრძალული ნივთების კონტრაბანდის საკითხი.[148]

გარე უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების გამოცდილება მრავალმხრივ მიდგომებს გულისხმობს. მაგალითად, გაქცევის თავიდან აცილების კუთხით ავსტრალიის შემთხვევაში ეს მიდგომები მოიცავდა - ციხის შიდა წესებისა და ოპერაციული პროცედურების ცვლილებას, თანამშრომლების გადამზადებას (მათ შორის დინამიური უსაფრთხოების საკითხებზე) და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას (გარე პერიმეტრის ღობეების ფიზიკური პარამეტრების გაძლიერებას, ვიდეოკამერებითა და სითბური სენსორებით აღჭურვას, განსაკუთრებით დაბალი რისკის დაწესებულებებში)[149]. მსგავს კომპლექსურ მიდგომას იმეორებს მისი უდიდებულესობის ციხეების სამსახური ციხის ანტინარკოტიკული სტრატეგიის იმ ნაწილში, რომელიც ინგლისის ციხეებში კონტრაბანდის შემცირებას ეხება.[150] აქაც ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად საუბარია ოპერაციული პროცედურებისა და თანამშრომელთა გადამზადების ღონისძიებებზე.[151]

ციხეში აკრძალული ნივთების კონტრაბანდის წინააღმდეგ, რომელიც უკვე უშუალოდ დრონების გამოყენების პრობლემას უკავშირდება, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რაც ციხის გარშემო აკრძალული ზონის ფარგლების გონივრულ ზღვრამდე გაზრდას გულისხმობს. მაგალითად, ავსტრალიაში ეს აკრძალული ზონა როგორც სიგანეში, ისე სიმაღლეში 120 მეტრიანი რადიუსით განისაზღვრება.[152]

135 დეტალური ინფორმაცია იხ. : http://www.leparisien.fr/faits-divers/quand-des-drones-volent-a-l-assaut-des-prisons-28-08-2017-7217877.php;

136 დეტალური ინფორმაცია იხ. : https://rg.ru/2017/09/26/reg-skfo/v-nalchike-muzhchina-pytalsia-peredat-narkotiki-v-tiurmu-s-pomoshchiu-drona.html;

137 დეტალური ინფორმაცია იხ. : https://psa.asn.au/prisoners-using-drones-to-smuggle-drugs-into-nsw-prisons-2gb-08-07-2019/;

138 დეტალური ინფორმაცია იხ: https://www.stuff.co.nz/national/116685176/drones-significant-threat-to-nz-prisons-but-no-corrections-policy-despite-warnings;

139 დეტალური ინფორმაცია იხ. https://www.ctvnews.ca/canada/quebec-prison-smuggling-goes-high-tech-with-drones-1.3273586;

140 იხ. Russo, Joe, Dulani Woods, John S. Shaffer, and Brian A. Jackson, Countering Threats to Correctional Institution Security: Identifying Innovation Needs to Address Current and Emerging Concerns. Santa Monica, CA: RAND Corporation, 2019. ხელმისაწვდომია: https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2933.html;

141 იქვე, გვ. 12-13;

142 იხ. Bryce Peterson and Jeff Mellow, Escapes From Correctional Custody: A New Examination of an Old Phenomenon, The Prison Journal 96 (4), 2016, p.512;

143 იქვე, გვ. 516;

144 დეტალურად იხ: https://www.csmonitor.com/USA/Justice/2016/0125/California-jail-break-How-rare-are-US-prison-escapes;

145 იხ. ავსტრალიის დასავლეთ ავსტრალიის შტატის ციხის სამსახურის ინსპექტორის ოფისის მიერ მომზადებული კვლევა, გვ. 12, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.wa.gov.au/publications/tabledpapers.nsf/displaypaper/3912781a35a468c9c38dca7048257e230010359f/$file/2781.pdf;

146 სტატისტიკური მონაცემები, ასევე 2017 წლის კონკრეტული შემთხვევების აღწერა ქვეყნების მიხედვით ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს სასჯელაღსრულების ყოველწლიური სტატისტიკის (Statistiques Pénales Annuelles du Conseil de l'Europe) 2018 წლის ანგარიშში; გვ.102-104, ხელმისაწვდომია: https://wp.unil.ch/space/;

147 დეტალური ინფორმაცია იხ: https://qz.com/637908/finland-is-the-prison-break-capital-of-europe/; აგრეთვე, https://www.worldatlas.com/articles/the-most-escape-prone-prison-systems-in-europe.html;

148 საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში უშუალოდ დაწესებულებიდან გაქცევის არცერთი შემთხვევა არ ფიქსირდება ევროპის საბჭოს ანგარიშებში. ანგარიშები ხელმისაწვდომია:https://wp.unil.ch/space/;

149 იქვე; გვ. 24-35;

150 ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/792125/prison-drugs-strategy.pdf;

151 იქვე, გვ.8-9;

152 იხ. ავსტრალიის ვიქტორიას შტატის მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი: https://www.justice.vic.gov.au/justice-system/laws-and-regulation/criminal-law/drone-ban-near-victorian-correctional-and-youth;

საკანონმდებლო რეგულირება თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი აღსრულების სათანადო მექანიზმების არსებობა. დრონებისგან პენიტენციური დაწესებულების პერიმეტრის დაცვა სხვა ტექნოლოგიურ გადაწყვეტასთან - დრონების საწინააღმდეგო სისტემის ინსტალაციასთან არის დაკავშირებული, რაც საკმაოდ ძვირი პროდუქტია. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტში ხელმისაწვდომია სხვადასხვა კომპანიის შეთავაზება დრონების საწინააღმდეგო სისტემების ინსტალაციასთან დაკავშირებით[153], ღია წყაროებში (open source) დღეისთვის ჯერჯერობით არ მოიპოვება სანდო ინფორმაცია სრულფასოვანი ოპერაციული გამოყენების მქონე სისტემის ფუნქციონირების ან რომელიმე პენიტენციური სისტემის წარმატებული გამოცდილების შესახებ. ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა, რომელმაც პენიტენციურ სფეროში აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენება დაიწყო, იყო ინგლისი.[154] თუმცა, ინგლისის პირობებშიც კი 2017 წელს ჯერ მხოლოდ ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში - მისი უდიდებულესობის გუერნსეის ციხეში (HMP Guernsey) დამონტაჟდა საპილოტე პროგრამის ფარგლებში და 600 მეტრის რადიუსის ვირტუალურ ფარს წარმოადგენს, რომელიც სხვა ისეთ ტექნოლოგიურ საშუალებებთან კომპლექსში მუშაობს, როგორიცაა ვიდეოკამერები და სხვადასხვა ტიპის დეტექტორები.[155] მისი სიძვირის გამო გამოცდის პროცესი დიდი დებატების ფარგლებში მიმდინარეობს.[156] დაახლოებით ამ პერიოდიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცალკეულმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტებმა დაიწყეს ამ ტექნოლოგიური გადაწყვეტის დანერგვის შესაძლებლობის განხილვა.[157] თუმცა 2019 წლის ერთ-ერთ ბოლო კვლევაში ავტორიტეტული ამერიკული კვლევითი ორგანიზაცია RAND Corporation-ის ექსპერტები ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მიუთითებენ მხოლოდ წარმატებული საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის აუცილებლობასა და სხვადასხვა ოფციის ტესტირების შესაძლებლობის შექმნაზე.[158] დაახლოებით მსგავს პროცესს აქვს ადგილი კანადაშიც. კანადის სასჯელაღსრულების სამსახურმა მხოლოდ 2019 წლის დასაწყისიდან დაიწყო კონტრაქტორი კომპანიების მოძიება დრონების საწინააღმდეგო სისტემის საპილოტე რეჟიმში დანერგვისა და ტესტირებისთვის.[159]

პენიტენციური დაწესებულებებისთვის დრონების საწინააღმდეგო სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებულ თანმდევ გამოწვევებს წარმოადგენს ამ სისტემის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და სათანადოდ მომზადებული კვალიფიციური თანამშრომლების არსებობა, რომელთაც ამ სისტემის მართვა შეეძლებათ.[160] ამ საკითხის საუკეთესო პრაქტიკის კონტექსტში შესწავლა ბევრად კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს ვიდრე მხოლოდ კონკრეტული ტექნოლოგიური გადაწყვეტის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზია.

მიუხედავად ამისა, დღეისთვის პრაქტიკაში დანერგილ საუკეთესო გამოცდილებად რჩება როგორც ინფრასტრუქტურა, ფიზიკური ღობეებისა და ნაგებობების სახით, ოპერაციული შესაძლებლობები (თანამშრომელთა მუშაობა დინამიური უსაფრთხოების მეთოდების, რისკების შეფასებისა და ფიზიკური მეთვალყურეობის ჩათვლით), ასევე ტექნოლოგიების ნაწილი, რომელთა გამოყენებაც უკვე აპრობირებულია პრაქტიკაში (ვიდეომეთვალყურეობის სისტემები, მოძრაობის დეტექტორები და ა.შ.)[161] და სწორედ ამ კონტექსტში უნდა მოხდეს მათი შესწავლა.

153 მაგალითად იხ.: https://www.dedrone.com/solutions/correctional-facilities; აგრეთვე, https://www.dronedefence.co.uk/; https://www.droneshield.com/prisons; https://drone-detection-system.com/?gclid=EAIaIQobChMIx5my3K-x5wIVyYGyCh1nLwArEAAYASAAEgIADfD_BwE; https://www.digitaleagle-uav.com/; https://counterdronesolutions.com.au/counter-drone-prisons/; https://www.rohde-schwarz.com/in/about/featured-stories/countering-drones/countering-drones_251858.html;

154 დეტალური ინფორმაცია იხ.: https://www.mirror.co.uk/news/uk-news/british-prison-becomes-first-world-10433402

155 დეტალური ინფორმაცია იხ. https://www.ifsecglobal.com/global/pioneering-anti-drone-system-installed-guernsey-prison/;

156 დეტალური ინფორმაცია იხ:https://www.theguardian.com/society/2018/dec/18/anti-drone-technology-introduced-english-prisons-skyfence;

157 დეტალური ინფორმაცია იხ. : https://www.daytondailynews.com/news/drones-dropping-drugs-into-prisons-ohio-fights-back/GSB3jLP3sy9VMVWiaO31KM/;

158 Russo, Joe, Dulani Woods, John S. Shaffer, and Brian A. Jackson, Countering Threats to Correctional Institution Security: Identifying Innovation Needs to Address Current and Emerging Concerns. Santa Monica, CA: RAND Corporation, 2019. გვ. 12, გვ18-19 ; ხელმისაწვდომია: https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2933.html

159 დეტალური ინფორმაცია იხ. https://www.rcinet.ca/en/2019/05/09/ottawa-announces-funding-to-combat-prison-drone-deliveries/;

160 იხ. Russo, Joe, Dulani Woods, John S. Shaffer, and Brian A. Jackson, Countering Threats to Correctional Institution Security: Identifying Innovation Needs to Address Current and Emerging Concerns. Santa Monica, CA: RAND Corporation, 2019. ხელმისაწვდომია: https://www.rand.org/pubs/research_reports/RR2933.html;
იქვე, გვ. 12-13;

161 დეტალური ინფორმაცია ციხის პერიმეტრის კონტროლის საუკეთესო ტექნიკურ საშუალებებთან და მათ მწარმოებლებთან დაკავშირებით იხ: https://www.ifsecglobal.com/perimeter-security-the-big-picture/;

4.2.4. არასრულწლოვანთა სამართლებრივი რეჟიმი და პატიმრობის პირობები - ნიდერლანდები

ნიდერლანდების პენიტენციურმა სისტემამ განვითარების რთული გზა გაიარა[162] და ინტენსიური რეფორმების შედეგად მისი მიდგომები რეაბილიტაციის კუთხით დღეისთვის, განსაკუთრებით არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით, წარმატებულად არის აღიარებული.[163] ეს გამოცდილება ზოგადად ცნობილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელებისთვის სხვადასხვა ვიზიტის ფარგლებში.[164]

დღეისთვის ნიდერლანდებში არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის შემცირების სისტემა კომპლექსურ მიდგომებს ემყარება და მოიცავს სისხლის სამართლის ასაკის მიღწევამდე პრობლემურ არასრულწლოვნებზე და მათ ოჯახებზე ზრუნვას,[165] 12-18 წლამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების არასაპატიმრო სასჯელების სისტემას (საზოგადოებრივი სამუშაოები ან სასწავლო პროექტში მონაწილეობა ან ორივე ერთად).[166] რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთას, 12-დან 15 წლამდე არასრულწლოვნებისთვის იგი მაქსიმუმ 1 წელს, ხოლო 16 წელს მიღწეული პირებისთვის მაქსიმუმ 2-3 წელს შეადგენს. ცალკე სამართლებრივი რეჟიმი მოქმედებს 16-დან 23 წლამდე პირებისთვის. თავისუფლების აღკვეთის ერთგვარ ალტერნატივას წარმოადგენს ქცევაზე ზეგავლენის მქონე ზომის გამოყენება, რომელიც სხვადასხვა სასწავლო-აღმზრდელობით პროგრამაში მონაწილეობას ითვალისწინებს.[167]

ნიდერლანდების პენიტენციურ სისტემაში არასრულწლოვნები სრულად არიან იზოლირებული სრულწლოვანი პატიმრებისგან როგორც ბრალდებულის სტატუსით აღკვეთი ღონისძიების, ისე მსჯავრდებულის სტატუსით სასჯელის მოხდის პროცესში. არასრულწლოვანთა დაწესებულება ნიდერლანდებში გულისხმობს განთავსების ცენტრს როგორც წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირების, ისე მსჯავრდებული არასრულწლოვნებისთვის. მათი განთავსებასა და რეაბილიტაციას ქვეყნის მასშტაბით 3 პენიტენციური დაწესებულება ემსახურება სპეიკენისეში - 105 ადგილით, ბრედაში - 78 ადგილით და ნეიმეგენში - 72 ადგილით.[168] დამატებით საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ამსტერდამის დაწესებულება,[169] რომლის ახლოს გაცნობის შესაძლებლობაც ჰქონდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მაღალი დონის დელეგაციას 2019 წლის ნოემბერში[170] და როგორც მედიაში გავრცელებული ცნობები მიუთითებს, ამ გამოცდილებამ ქართული მხარის საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია.[171]

162 Arjen Boin, "Securing Safety in the Dutch Prison System: Pros and Cons of a Supermax," Howard Journal of Criminal Justice 40, no. 4 (November 2001): 336-340;

163 დეტალური ინფორმაცია თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ხელმისაწვდომია: http://www.famylias.org/wp-content/uploads/2015/05/Handbook-of-Best-Practices-in-Juvenile-Rehabilitation-Programs-in-Europe-LD.pdf;

164 იხ. ინტერვიუ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პენიტენციური და პრობაციის სისტემის ხელშეწყობის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილესთან; აგრეთვე საჯაროდ ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/saojakho-tipis-penitenciuri-dawesebuleba-shesadzloa-saqartveloshic-dainergos/;

165 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო ობსერვატორიის კვლევაში keeping Youth Away From Crime: Searching For Best European Practices. გვ. 16-22, ხელმისაწვდომია: http://www.oijj.org/sites/default/files/netherlands.pdf;

166 დეტალური ინფორმაცია ნიდერლანდების არასრულწლოვანი დამნაშავეების არასაპატიმრო სანქციების შესახებ ხელმისაწვდომია: https://www.halt.nl/;

167 იხ. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ჰოლანდიის მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდზე: https://www.rijksoverheid.nl/onderwerpen/straffen-en-maatregelen/straffen-en-maatregelen-voor-jongeren;

168 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.dji.nl/locaties/justitiele-jeugdinrichtingen/;

169 დეტალური ინფორმაცია ამსტერდამის არასრულწლოვანთა მცირე დაწესებულების შესახებ ხელმისაწვდომია: https://www.government.nl/latest/news/2016/07/05/small-scale-facility-pilot-for-young-people-in-pre-trial-detention-to-start-in-amsterdam;

170 დეტალური ინფორმაცია ვიზიტის შესახებ ხელმისაწვდომია:http://sps.gov.ge/ka/media/akhali-ambebi/article/23407-iusticiis-ministri-amsterdamis-saojakho-tipis-bavshvtha-cikhis-models-gaecno.html;

171 იხ. https://1tv.ge/news/saojakho-tipis-penitenciuri-dawesebuleba-shesadzloa-saqartveloshic-dainergos/; აგრეთვე: https://edu.aris.ge/news/patimari-bavshvebistvis-saodjaxo-tipis-penitenciuri-dawesebuleba-sheiqmneba.html; https://ipress.ge/new/iustitsiis-saministros-delegatsia-samushao-vizitith-niderlandebshi-imqhopheba/; https://imedinews.ge/ge/saqartvelo/120525/arasrultslovani-patimrebistvis-shesadzloa-saojakho-tipis-penitentsiuri-datsesebuleba-sheiqmnas;

ასე გამოიყურება ნეიმეგენში მდებარე დაწესებულების სასწავლო კორპუსი.[172]

ნიდერლანდების არასრულწლოვანთა განთავსების ცენტრებში საცხოვრებელი და დამხმარე შენობების დიზაინი და გარემო პირობები მაქსიმალურად არის მიახლოვებული საზოგადოებაში არსებულ ჩვეულებრივ გარემოსთან. გოგონები და ბიჭები განცალკევებულად არიან განთავსებული. მათდამი მიდგომა სასჯელის მოხდის მთელი პროცესის განმავლობაში ემყარება არასრულწლოვანთან მუშაობის სპეციალურ საბაზისო მეთოდოლოგიას, რომელიც YOUTURN-ის სახელწოდებით არის ცნობილი. იგი ხუთ ფაზას მოიცავს (შეფასება, სტაბილიზაცია, პიროვნული განვითარება, რესოციალიზაცია და საზოგადოებაში დაბრუნება, შეწყვეტა), რომლის 3 ფაზა დაწესებულებაში, ხოლო ბოლო 2 - განთავისუფლების შემდეგ გრძელდება.[173] შეფასების ეტაპი, პრაქტიკულად მოიცავს მსჯავრდებულის რისკის განსაზღვრას სატატიკური და დინამიური ფაქტორების გათვალისწინებით და კომპლექსურ სამუშაოს გულისხმობს სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების გამოყენებით, რომლის ფარგლებშიც ხდება არა მხოლოდ მსჯავრდებული არასრულწლოვანის, არამედ მისი ოჯახისა და განვითარების გარემოს შესწავლა. ეს ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტში კრიმინალურ სუბკულტურასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. სწორედ ამ შეფასების საფუძველზე ხდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის (განვითარებისა და სწავლის პროგრამის) ინდივიდუალური დაგეგმვა და იმ ჯგუფის შერჩევა, რომელშიც მსგავსი რისკის არასრულწლოვნები იქნებიან გაერთიანებული სწავლისა და ცხოვრების მიზნებისთვის. სასჯელის მოხდის პროცესის ძირითადი ვადა (პიროვნული განვითარების ფაზა), რომელიც ინდივიდუალურ მიდგომას ემყარება, მთლიანად აღმზრდელობით პროცესს წარმოადგენს და პრაქტიკულად მთელი ამ სასჯელის მოხდის განმავლობაში არასრულწლოვანთან პედაგოგი/მენტორი მუშაობს. ეს პროცესი როგორც წესი, საშუალოდ 10 არასრულწლოვნისგან შემდგარ ჯგუფებში ხორციელდება. არასრულწლოვანთა განთავსების ცენტრებში შექმნილია ჩვეულებრივ ცხოვრებასთან მაქსიმალურად მიახლოებული ინფრასტრუქტურა და ყველა პირობა, რაც ოჯახის წევრებს აძლევს საშუალებას განახორციელონ ვიზიტები არასრულწლოვნებთან ჩვეულებრივ გარემოში. ნიდერლანდების პენიტენციური სისტემა მაქსიმალურად მხარს უჭერს, მათ შორის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნით, არასრულწლოვანის მიერ ოჯახთან ინტენსიური კომუნიკაციის შენარჩუნებას.[174] ნიდერლანდების მიდგომის ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, 18 წელს მიღწეული მოზარდები 23 წლის ასაკამდე, სურვილის შემთხვევაში და სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც მოზარდის განვითარებისა და უნარების შეფასების საფუძველზე მიიღება, შესაძლოა, მოექცნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მოქმედების ქვეშ.[175] რაც უკვე შემდგომში გულისხმობს მათ განთავსებას არასრულწლოვანთა დაწესებულებაში და სპეციალიზებულ მოპყრობას ზემოაღნიშნული პროგრამების მიხედვით.[176] მსგავსი მიდგომა მე-20 საუკუნის შუა ხანებში გერმანიაში ჩამოყალიბდა,[177] თუმცა ნიდერლანდებში კიდევ უფრო დახვეწილი

172 წყარო, არქიტექტურული კომპანიის ვებგვერდი, რომელმაც დაწესებულება დააპროექტა. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.uarchitects.com/project/juveline-detention-center-1-netherlands/;

173 ინფორმაცია ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების სამსახურის ვებგვერდზე: https://www.dji.nl/binaries/120687_04_dji_infosheet_jeugdinrichtingen_april_2019_V4_tcm41-352272.pdf;

174 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნიდერლანდების იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების სამსახურის ვებგვერდზე:https://www.dji.nl/;

175 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნიდერლანდების მთავრობის ვებგვერდზე:https://www.government.nl/topics/sentences-and-non-punitive-orders/penalties-juvenile-offenders;

176 დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნიდერლანდების იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების სამსახურის ვებგვერდზე: https://www.dji.nl/justitiabelen/jongeren-in-detentie/index.aspx;

177 დეტალური ინფორმაციისთვის იხ.: https://thecrimereport.org/2018/04/10/in-germany-its-hard-to-find-a-young-adult-in-prison/

ფორმა მიიღო.[178] აღსანიშნავია, რომ მოზარდები არასრულწლოვანთა დაწესებულებებში იმყოფებიან სასჯელის სრულად მოხდამდე და ნიდერლანდების სასჯელაღსულების სისტემაში დამკვიდრებული პრაქტიკით, 23 წლის მიღწევა არ იწვევს მათ სავალდებულო გადაყვანას სრულწლოვანთა დაწესებულებაში.[179]

ნიდერლანდების გამოცდილება განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ამჟამად მიმდინარეობს გარკვეული რეფორმების პროცესი ახალი ტიპის, კიდევ უფრო მაღალი სტანდარტის არასრულწლოვანთა დაწესებულების შესაქმნელად.[180] ამის შესახებ ოფიციალურად ცნობილი გახდა 2019 წლის ივნისში სამართლებრივი დაცვის მინისტრის სანდერ დეკკერის ანგარიშში გენერალური შტატების ქვედა პალატის წინაშე.[181] მინისტრის ანგარიშში განხილულია არსებული ვითარება და დამატებითი ზომების საჭიროება სისტემის ეფექტურობის შემდგომი ზრდისთვის. ერთ-ერთ ასეთ დამატებით ღონისძიებად განხილულია არსებულთან შედარებით კიდევ უფრო მცირე ტიპის, ნაკლები ინტენსივობის მეთვალყურეობის მქონე ორი დაწესებულების მშენებლობა, რომლებშიც უზრუნველყოფილი იქნება მეტად ინდივიდუალური და საჭიროებაზე მორგებულ პიროვნული განვითარების პროგრამების განხორციელება.[182] მინისტრის ანგარიშში ასეთი დაწესებულების მოდელად აღებულია ამსტერდამის მცირე ზომის დროებითი განთავსების ცენტრი, როგორც წარმატებული პროექტი,[183] რომელიც 2016 წლიდან საპილოტე რეჟიმში მუშაობს.[184] გასათვალისწინებელია, რომ არსებული ვითარების შეფასებასთან ერთად ნიდერლანდების იუსტიციისა და უსაფრთხოების სამინისტრომ განახორციელა საუკეთესო უცხოური პრაქტიკის ანალიზიც.[185]

ნოდერლანდების გამოცდილების ძლიერი მხარეებია:

